ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2024 წელი

ქ. ზუგდიდი

შესავალი

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

- **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმა**

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

- **მერის ანგარიში შედგენილია**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებების საფუძველზე.

- **ანგარიშის სტრუქტურა**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, როგორც თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური გეგმა, უზრუნველყოფს მისი პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული, კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული, ახალგაზრდული, სოციალური, ჯანდაცვის პროექტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. აღნიშნული სფეროები, პროექტები და პროგრამები, როგორც პრიორიტეტული მიმართულებები, განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც. შესაბამისად, მერის ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტსა და სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებს;
- ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- განათლების პრიორიტეტის დაფინანსებას;
- კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებას;
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებას;

❖ *ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები*

- **საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთავარი ფინანსური გეგმაა და ის უზრუნველყოფს მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტული, ახალგაზრდული პროგრამებისა და ქვეპროგრამების დაფინანსებას. ისინი მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია და შესაბამისად განსაზღვრავენ ბიუჯეტის ხარჯვით პოლიტიკასაც. სხვა დარგობრივი სფეროებისგან საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის განსხვავებული სპეციფიკურობის გამო, საბიუჯეტო სფეროში გაწეული მუშაობის შედეგებს წარმოგიდგენთ იმ მონაცემებით, რომელიც ასახავს 2024 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდს.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის საწყისი ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 64 500 ათასი ლარით, შემდგომ სხვადასხვა ფაქტორების გავლენის შედეგად განხორციელებული ცვლილებებით (მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი ფულადი სახსრების ჩათვლით) ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 101 865,9 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შემოსულობები 1 ოქტომბრის მონაცემებით (9 თვე) შეადგენს 64 183,4 ათას ლარს, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის თითქმის 67 %-ია, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 63 503,9 ათას ლარს ანუ წლიური გეგმა-პროგნოზის 68,3 %-ს. აქედან საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში შემოსულია 38 629,9 ათასი ლარის ოდენობით, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 76,5%-ია.
მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ 9 თვეში ბიუჯეტმა მიიღო გრანტები სპეციალური და კაპიტალური ტნასფერების სახით, თანხობრივად 20 911,7 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება იმ სახის ფულადი სახსრების მობილიზებას, რომელიც კლასიფიცირდება როგორც „სხვა შემოსავლები“ - ის ბიუჯეტში შემოსულია 3 962,3 ათასი ლარის თანხობრივი მოცულობით, რაც წლიური გეგმა-პროგნოზის 63,1%-ს უტოლდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული საბიუჯეტო შემოსავლები მიზნობრივად და გეგმაზომიერად იქნა მიმართული ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმიური ასიგნებების გასაცემად.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ბიუჯეტის გადასახდელების (გასაცემი ფულადი ასიგნებები) მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 62 976,8 ათასი ლარი. აღნიშნული ასიგნებები მიიმართა სხვადასხვა კაპიტალური ინფრასტრუქტურული პროექტების, მუნიციპალური პროგრამების, კონკრეტული საბიუჯეტო სფეროების და

დარგების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ფულადი რესურსი 16839.2 ათასი ლარი მიიმართა ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე. აღნიშნულ სფეროს აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან მოხმარდა 3105.1 ათასი ლარი.

უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე განვლილ პერიოდში ადგილობრივი და სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 154 მსხვილი, საშუალო და მიკრო ინფრასტრუქტურული პროექტი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში საბიუჯეტო ასიგნებები აგრეთვე მიიმართა სხვა სფეროებსა და დარგებზე კერძოდ:

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პროგრამას მოხმარდა 6025.9 ათასი ლარი, მათ შორის ქალაქ ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის სასოფლო 48 ადმინისტრაციული ერთეულის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის ღონისძიებებს 5074.3 ათასი ლარი.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე, როგორც მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტის დაფინანსების კუთხით გაიხარჯა 2907,4 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა სოციალური დანიშნულების 14 პროგრამის, ასევე სამედიცინო დახმარების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებას.

განათლების სფეროს დაფინანსებისთვის გამოიყო 10552,8 ათასი ლარი, აქედან აღნიშნული სფეროს ასიგნებათა ძირითადი ნაწილი, კერძოდ 8327,1 ათასი ლარი მიიმართა სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგამაზე.

კულტურის, რელიგიის, სპორტის სფეროების საბიუჯეტო ასიგნებამ შეადგინა 5171,5 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა ხელოვნებისა და კულტურის, საბიბლიოთეკო დარგის განვითარების ხელშეწყობას, სპორტული და ახალგაზრდული პროგრამების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის, რელიგიის ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსებას.

მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტიდან გამოიყო და 11963.3 ათასი ლარი მოხმარდა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციონირების უზრუნველყოფას და საერთო დანიშნულების ხარჯების ანაზღაურებას.

მუნიციპალიტეტში 2019 წლიდან დანერგილია „სამოქალაქო ბიუჯეტი“-ს ფორმირების პრაქტიკა. ეს ფინანსური სეგმენტი წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტის უშუალო შემადგენელ ნაწილს.

სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში 2024 წელს ათვისებულია თითქმის 700.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შემდეგი პროექტების, კერძოდ ქალაქ ზუგდიდში ლომთათიძის ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობას; თბილისის ქუჩაზე №43-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღის ეზოში საბავშვო მოედნის და სათამაშო ატრაქციონის მოწყობას და ლევან მე-2 დადიანის ქუჩაზე №4 და №6 კორპუსების ეზოსთან სკვერის ტერიტორიაზე ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობის სამუშაოებს; ქალაქ ზუგდიდში რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის მე-4 შესახვევში სკვერის მოწყობის სამუშაოებს; ქალაქ ზუგდიდში ბუკიას ქუჩაზე №5-ში "ჩვენი ეზო" სკვერის მოწყობის სამუშაოებს; ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიტაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო

სამუშაოებს; ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ეზოს კაპიტალური შემოღობვის სამუშაოებს.

რაც შეეხება 2025 წლის ახალი საპროექტო ინიციატივების მიღებას, ეს ეტაპი დაგეგმილია მიმდინარე წლის ბოლოსთვის.

სახელმწიფო შესყიდვების ძირითადი მონაცემები და სტატისტიკური მაჩვენებლები

საანგარიშო წლის 9 თვეში სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 44 828 363 ლარი შეადგინა. აქედან, ელქტრონულად განხორციელებული შესყიდვებით ხელშეკრულებები დაიდო 40 522 357 ლარზე, გამარტივებული შესყიდვებით 2 054 776 ლარის ოდენობის თანხაზე ხოლო, კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 2 251 229 ლარის შესყიდვა. სულ მომზადდა 313 ხელშეკრულების პროექტი, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერიამ, სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად გააფორმა მიმწოდებლებთან. აქედან, 54 ხელშეკრულება დაიდო საქონლის შესყიდვაზე, მომსახურებაზე 104, ხოლო სამუშაოებზე 155 ხელშეკრულება.

განვლილ 9 თვეში გამოცხადდა 237 ტენდერი, რომლის ჯამური სავარაუდო ღირებულებაა 49 703 845 ლარი. შედეგად, ჩატარებული ტენდერებიდან, რომლებსაც მიენიჭა საბოლოო სტატუსი „ხელშეკრულება დადებულია“ გაფორმდა 40 522 357 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. განხორციელებული შესყიდვის პროცედურიდან მიღებულმა პირობითმა ეკონომიამ 4 871 653 ლარი ანუ 12% შეადგინა.

ხელშეკრულებების ღირებულების კუთხით, 294188 ლარი იქნა დახარჯული საქონლის, 1 905 587 ლარი მომსახურების, ხოლო 3 832 2581 ლარი სამუშაოების შესყიდვაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში შესყიდვა ხორციელდება მრვალწლიანი შესყიდვით _ როგორც 2024, ასევე 2025 და 2026 წლის ბიუჯეტის სახსრებით, შემდეგი თანხობრივი მაჩვენებლებით: 2024 წელს გამოიყოფა 3 154 742 ლარი, 2025 წელს 1 392 092 ლარი, ხოლო 2026 წელს 228 036 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე დადებულმა ხელშეკრულებების ჯამურმა თანხამ 2 251 229 ლარი შეადგინა (დადებულია 29 ხელშეკრულება). მთლიანი შესყიდვებიდან მისი ხვედრითი წილი 5,56%-ია.

გამარტივებული შესყიდვით დადებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ 2 054 776 ლარი შეადგინა, გამარტივებული შესყიდვები მთლიანი შესყიდვების 5,08%-ია. სულ გაფორმდა 124 ხელშეკრულება. გამარტივებული შესყიდვები რაოდენობრივად და ხელშეკრულებების ღირებულებების მიხედვით, განსხვავებული პროპორციით გადანაწილდა შესყიდვის ობიექტების ტიპებზე. კერძოდ, გამარტივებული წესით, ხელშეკრულებების საერთო ღირებულებიდან 32432 ლარი იქნა დახარჯული საქონლის, 590386 ლარი მომსახურების, ხოლო 1431957 ლარი სამუშაოს შესყიდვაზე.

გარდა ამისა, სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ დაფიქსირებულა.

➢ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება

- **ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ურბანული განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. ზუგდიდის ინფრასტრუქტურის განვითარების ძირითად პრიორიტეტებია შიდა საავტომობილო გზების მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ეზოების რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობა, სანიაღვრე სისტემების მშენებლობა, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ა.შ.

2024 წელს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით გამოყოფილია 38 808.1 ათასი ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 34 224.1 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით 4 584 ათასი ლარი. 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრებიდან გახარჯულია 17 912.7 ათასი ლარი.

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით განხორციელდა 76 ინფრასტრუქტურული პროექტი. ამჟამად მიმდინარეობს 81 პროექტი, ხოლო შესყიდვის პროცედურები მიმდინარეობს 24 პროექტზე.

<u>საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება</u>

საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 27 060.6 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამით 2024 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება 50 კმ-მდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას. განხორციელდა, დაგეგმილია ან მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, საპერტიოს უბანში, კ. გამსახურდიას, კ. სერგიას და მაცხოვრის ქუჩების საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ოქტომბერის ადმინისტრაციულ ერთეულეში, საზარქუოს უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამარჯვების უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (მეორე ეტაპი) სამუშაოები;

- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამანიოს, სანაჭყებიოს და ჯინჯოლავების უბანში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუსაოები;
- კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოსტავას ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, დგებუაძის ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, მოგირის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამარ მეფის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში საავტომობილო გზის (მეოთხე ეტაპი) რეაბილიტაცია;
- ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, საფიფიოს უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სინწიდან სოფლის ცენტრამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების (აღმართების) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ხეცერის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელაო-სამელიოს უბანი) გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- შამგონას და კოკის (ნალიმას უბანი) ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდი-წალენჯიხას ცენტრალური გზიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (მეოთხე ეტაპი);
- ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯუმი-ახალსოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (ცაბაძის, ყაზბეგის და ჯიქიას ქუჩები) სარეაბილიტაციო სამუსაოები;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის და დადიანის ქუჩებზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში რიყე-ზედაეწერის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლადო ასათიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხი-რიყეს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩა) საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სათორდიოს უბანში, საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძისა და დადიანის ქუჩებზე გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას, ზუგდიდის, ენგურის და თამარ მეფის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (57 ქუჩა) რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის I შესახვევის, ნუცუბიძის, კიევის, ჩემინავას, სპეციალისტების III შესახვევის, იპოლიტე ხვიჩიას, მარჯანიშვილის, გუბაზ მეფის, იონა მეუნარგიას და აკ. წერეთლის ქუჩის მე-4 შესახვევში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ზაქარაიას ქუჩაზე და თაბუკაშვილის ქუჩის II ჩიხში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საავტომობილო გზებზე, პერიოდულად საჭირო სარეაბილიტაციო (ორმული შეკეთება) სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის საფარის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

წყლის სისტემების რეაბილიტაცია

წყალმომარაგების სისტემების მშენებლობისთვის 2024 წელს გამოიყო 381.8 ათასი ლარი. წყალმომარაგების ახალი სისტემა მოეწყობა 76 კომლისთვის. მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარებაოს უბანში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები;
- ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში სათოლორაიოს უბანში, ჭაბურღილის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სანიაღვრე არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია

აღნიშნული მიმართულებით 2024 წლის ბიუჯეტით გამოიყო 977.9 ათასი ლარი. ახალი სანიაღვრე სისტემა მოეწყობა 3100 გრძ. მეტრზე. ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, შალვა ქირიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცისკარიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;

- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კეკელიძის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე ხიდ-ბოგირისა და ცხაურების მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, გელა ღურწკაიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

გარე განათების მოწყობაზე მიიმართა 100.0 ათასი ლარი. განხორციელდა რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში, დ. აღმაშენებლის ქუჩის საავტომობილო გზაზე გარე-განათების მოწყობის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად გამოეყო 1 418.3 ათასი ლარი, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 380 000 ლარი. აღნიშნული პროგრამით ხორციელდება 74 პროექტი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა

მრავალბინიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობისთვის 2024 წლის ბიუჯეტით გამოყოფილია 526.7 ათასი ლარი. ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქუჯის ქუჩა N12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკიას ქუჩა N30 და N34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, შალვა დადიანის ქ. №33-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად გამოყოფილია 5 960.0 ათასი ლარი, აქედან 5 867.4 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 92.6 ათას ლარს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. განხორციელდა, დაგეგმილია ან მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

- ქ. ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირზე, N38-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, სვანების უბანში და თბილისის ქუჩაზე ხიდ-ბოგირების მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხუბულავას ქუჩაზე, მდ. ჩხოუშზე ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ღელე ბეჟას ღალზე ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო, ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სათორდიოს უბანში, სასაფლაომდე მისასვლელი ხიდ-ბოგირის და ხიდის სარეაბილიტაციო და ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ღელე ბეჟას ღალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;
- ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ოფაჩხაფუ-ნარაზენის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობის და ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნარაზენი-საჯიჯაოს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯიქიოს უბანში არსებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაციის და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის და სადარასელიოს უბანში, საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. რუხისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის და რუხი-ახალაბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზის ნაპირსამაგრის მოწყობის (2 ლოკაციაზე) და ურთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქორთუას ქუჩაზე, გზის გასწვრივ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;
- შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. სკაიაზე არსებული ხიდის და ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო და მდ. სკაიაზე, შამადელა-აბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის და ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკაკულიოს უბანში, ხიდ-ბოგირის მოწყობის, როლანდ გვათუას სახლთან ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო, მამუკა დაგარგულიას სახლთან არსებული ხიდის სარეაბილიტაციო და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, რჩეულიშვილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარათაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის ნაპირსამაგრის მოწყობის (2 ლოკაცია), ცენტრალური გზის რეაბილიტაციის და ნაპირსამაგრის (2 ლოკაცია) მოწყობის და ჭაქვინჯი-ხობის დამაკავშირებელ გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოქალაქე ბადრი სალიას საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ წყალგამტარი არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ფირცხალავას ქუჩაზე გამავალი მთავარი წყალგამტარი არხის სარეაბილიტაციო და ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. ჟვანიას ქ. N47-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მცოცავი გრუნტისაგან დამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის ქუჩა N8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N5-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N30-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N35-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ლევან II დადიანის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ლევან II დადიანის ქუჩა N4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის ქუჩა N10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქ. N326-ში მდ. კუჩხობონზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, კობახიძის ქუჩის მეორე შესახვევში ნაპირსამაგრი ნაგებობის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ოქტომბერის ადმინისტრაციულ ერთეულში, კინწურაშვილის ქუჩის ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამეწყრილ მონაკვეთზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები;
- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე კულტურის სახლის შენობის, ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის და აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბავშვო ბაღის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ოფაჩხაფუ-ყულიშკარის დამაკავშირებელ გზაზე ხიდის სარეაბილიტაციო და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, მდ. მახარიაზე ნაპირდამცავი ნაგებობის და საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები;
- ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, წერეთლის ქუჩაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, იულია სხულუხიას საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- შამადელას ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური საავტომობილო გზის დამეწყრილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბორჯომ-ბაკურიანის ქუჩიდან, გ. ჯიქიას და პაიჭაძის ქუჩების გავლით გამავალი სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბორის სიჭინავას საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ, ხიდ-ბოგირის და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;

- უჩამონას ადმინისტრაციულ ერთეულში, ახალსოფელი-უჩამონას დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, მამუკა ჯიქიას საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრში საავტომობილო ხიდის მიმდებარედ ნაპრისმაგრი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ეკლესიის უბანში ახალი საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები;
- ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვლადიმერ ნარუშვილის საცხოვრებელ სახლთან ნაპირსამაგრის მოწყობის სამუსაოები;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოყოფილია 614.0 ათასი ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტი

სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამით განსახორციელებელ პროექტებზე გამოიყო 738.1 ათასი ლარი. 3 ლოკაციაზე განხორციელდა პარკის/სკვერის სარეაბილიტაციო, 3 ლოკაციაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები. 2 ქუჩაზე მოეწყო სანიაღვრე არხი. შემოიღობა ქალაქის N16 საბავშვო ბაღის და ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ეზო:

- ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩა N12-ში ეთნოკულტურული პარკის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდში კობახიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდში ლომთათიძის ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის, თბილისის ქუჩაზე №43-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღის ეზოში საბავშვო მოედნის და სათამაშო ატრაქციონის მოწყობის და ლევან მე-2 დადიანის ქუჩაზე №4 და №6 კორპუსების ეზოსთან სკვერის ტერიტორიაზე ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდში 25 დეკემბრის ქუჩაზე №15-ში ჭიშკრისა და ღობის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდში რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის მე-4 შესახვევში სკვერის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდში ბუკიას ქუჩაზე №5-ში "ჩვენი ეზო" სკვერის მოწყობის სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიტაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ეზოს შემოღობვის სამუშაოები.

მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა

აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია 764.3 ათასი ლარი. ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (კირქვით) სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (ქვიშანარევი ღორღით) სამუშაოები;
- დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კუკავების უბანში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა ტიბუას ქუჩის I და II ჩიხში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით) სამუშაოები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში (დევნილთა დასახლებაში), წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში, მახარაძის ქუჩაზე წყალმომარაგების სისტემის და ორულუს ადმინისტრაციულ ერთეულში, დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში წყლის ავზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის I შესახვევში დაზიანებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბენდელიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. ზუგდიდში, ცოტნე დადიანის ქ. №3-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის I სადარბაზოს ლიფტის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულის, სათოლორაიოს უბნის, წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის ტუმბოსა და ტუმბოსთვის განკუთვნილი ელექტრო სადენის შესყიდვა;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები;
- უჩამონას ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის და მოსახლეობის ჭიშკრებთან მისასვლელის მოწყობის სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნინოშვილის ქუჩაზე საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაზის ქუჩაზე სტადიონის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია

სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 266.4 ათასი ლარი. განხორციელდა 2 არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და მოეწყო ჩოგბურთის კორტი:

- ქ. ზუგდიდში, ლაზის ქუჩაზე არსებული საფეხბურთო მოედნის სარეაბილიტაციო და ჩოგბურთის კორტის მშენებლობის სამუშაოები;
- ურთას ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული მინი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2024 წელს მშენებლობის ნებართვის, მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების, არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტის შეთანხმების, მშენებლობის ვადის გაგრძელების და დემონტაჟის ნებართვის მოთხოვნით შემოსული განცხადების რაოდენობა შეადგენს სულ 250–ს.

- მშენებლობის ნებართვები გაიცა 131 (ასოცდათერთმეტი) ობიექტზე;
- დემონტაჟის ნებართვები გაიცა 23 (ოცდასამი) ობიექტზე;
- მშენებლობის ვადა გაგრძელდა 26 (ოცდაექვსი) ობიექტზე;
- პროექტის შეთანხმება გაიცა 31 (ოცდათერთმეტი) ობიექტზე;
- მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა 39 (ოცდაცხრამეტი) ობიექტზე;
- მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 სექტემბრის ჩათვლით შეადგინა **82 043.52 ლარი.**

➢ დასუფთავების და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსება

- ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი"

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მყარი ნარჩენების მართვა ერთ - ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელიც ნარჩენების მართვის თანამედროვე, პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვით ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სისუფთავის დაცვაზე და მოსახლეობის მომსახურეობის გაუმჯობესებაზე, ნარჩენების სეპარირებისა და რეციკლირების პროცესების დანერგვით მეორადი რესურსების ცირკულარულ ეკონომიკაში ჩართვაზე .

საანგარიშო პერიოდში, 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემების გაუმჯობესების შედეგად, მყარი ნარჩენების გატანის სერვისი ერთნაირად შეუფერხებლად მიეწოდებოდა ქალაქისა და 48 სასოფლო - ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობას და ინსტიტუციურ და ინდუსტრიული

სექტორის, ქალაქის მეწარმე იურიდიულ და ფიზიკური პირებს, ეკონომიკურ და საჯარო სექტორს .

მომსახურეობა მიეწოდებოდა :

- ქალაქის მოსახლეობის 100 % - ს;
- სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის 90% - ს;
- კომერციული, ინსტიტუციუტი და ინდუსტრიული სექტორის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს - 100% - ით;
- ქალაქის და სასოფლო ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობიდან, კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული სექტორის ობიექტებიდან კოლექტიური და კარდაკარ შემოვლის წესით ნარჩენების გატანას ემსახურებოდა 2653 17 დახურული და 12 ღია ნაგავმზიდი, 6 ნახევრად სატვირთო და 12 სხვადასხვა სახის ტექნიკა, 2653 ნაგავ შემკრები კონტეინერი. გარდა მოსახლეობისა, საანგარიშო პერიოდში ცენტრი მოემსახურა 1220 - ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს.

საანგარიშო 11 თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებული იქნა 27.3 ათასი ტონა ანუ 95 550 მ3 მყარი ნარჩენი, საიდანაც ნაგავსაყრელში გაზიდულია 83 213 მ3, ხოლო 12 342 მ3 სეპარირებულად შეგროვდა და დაექვემდებარა რეციკლირებას. ეს პირველი შემთხვევაა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვის ისტორიაში, როდესაც შეგროვებული მყარი ნარჩენი მთლიანად არ იქნა გაზიდული ნაგავსაყრელში და სეპარირების პროცესის დაწყებიდან 19 500 მ3 ქაღალდისა და მუყაოს დაპრესილი ნედლეული, რომელიც ადრე ნაგავსაყრელში იყრებოდა, დაბრუნდა ცირკულარულ ეკონომიკაში, რითაც ნაკლები ზარალი მიადგა გარემოს , ხოლო ცენტრმა მიიღო 87,4 ათასი ლარის დამატებითი ფულადი შემოსავალი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სასოფლო-ტერიტორიულ ერთეულებში ყოველდღიურად დაგვა - დასუფთავებას ექვემდებარებოდა 45,7 ჰექტარი ფართობი, მათ შორის: ქალაქის ტერიტორიაზე 31,1 ჰექტარი, სასოფლო - ტერიტორიული ერთეულების მიხედვით კი 14,6 ჰექტარი; დამგველი მანქანით ყოველდღიურად იგვებოდა 4 – 5 ჰექტარი; გარდა ამისა ხელით აკრეფის წესით, სუფთავდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის (48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ჩათვლით) 29 - 30 ჰექტარი; სისტემატიურად იწმინდებოდა ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის 3 – 5 კილომეტრიანი მონაკვეთი;

გარდა ზემოთ დასახელებული ღონისძიებებისა, 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში:

- ინერტული და შენობა - ნაგებობების ნაშალი მყარი ნარჩენების განსათავსებლად, სოფელ რუხის ტერიტორიაზე, ყოფილი ქვიშა - ხრეშის მოსაპოვებელი კარიერის ტერიტორიაზე გამოყოფილი იქნა პოლიგონი 15 ჰექტარზე. სადაც ხდებოდა ინერტული მასალების შეზიდვა. პოლიგონზე შეზიდული ნაშალი ინერტული მასალები უზრუნველყოფს ქვიშა - ხრეშის მოპოვების შედეგად წარმოქმნილი ღრმულების ამოვსებას და ხელს შეუწყობს ამ ტერიტორიაზე ფლორისა და ფაუნის აღდგენას.

- 2 ჯერ დასუფთავდა შტორმის შედეგად ზღვის ამონაყარისაგან მძიმედ დანაგვიანებული ზღვის სანაპირო ზოლი.

- ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქალაქის მასობრივი თავშეყრის ადგილების და 48 სასოფლო ტერიტორიული ერთეულების ცენტრების, ცენტრამდე მისასვლელი გზებისა და ქალაქში შემოსასვლელი და გასასვლელი ტრასების მყარი ნარჩენებისაგან ხელით აკრეფის წესით გაწმენდის სამუშაოები .

- ყოველდღიურად იგვებოდა ქალაქის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები;

- საკურორტო სეზონის განმავლობაში ფაქტიურად ოცდაოთხსაათიანი მომსახურეობა ეწეოდა ანაკლია - განმუხურის საკურორტო ზონას.

- სისტემატიურად სუფთავდებოდა მდინარეების ჩხოუშის, კუჩხობონის და სინწის კალაპოტები.

- ყოვედღიურად ხდებოდა მყარი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ყველა სასაფლაოდან, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად;

- წყალმშხეფი მანქანებით, ქალაქში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, სისუფთავის დაცვის, ჰაერში მტვერის კონცენტრაციის შემცირების მიზნით, ყოველდღიურად ირწყვებოდა და ირეცხებოდა ქალაქის ცენტრალური ქუჩები;

- ყოველდღიურად ხორციელდებოდა ქალაქის მწვანე ნარგაობის დაცვა მოხეტიალე პირუტყვისაგან.

- ხორციელდებოდა მეველეების ყოველდღიური მორიგეობა და პირუტყვის მოშორება ქალაქ ზუგდიდში შემოსასვლელი და გასასვლელი მთავარი გზებიდან (ტრასებიდან);

- ხდებოდა სტიქიურად წარმოშობილი ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია.

- მთელი პერიოდის განმავლობაში ზედამხედველობის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა მონიტორინგი მყარი ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე და დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, კოდექსით გათვალისწინებული სანქციების განხორციელება, კერძოდ:

სამსახურის მიერ 11 თვეში ნარჩენების მართვის კოდექსის დარღვევისათვის დაჯარიმებული იქნა 267 იურიდიული და ფიზიკური პირი, ჯარიმების სახით ბიუჯეტში ამოღებულია 22,3 ათასი ლარი.

- ცენტრის კონტროლიორთა ჯგუფის მიერ მიმდინარეობდა მუდმივი მონიტორინგი შესრულებული სამუშაოს ხარისხზე და მომხმარებელთა მიერ მოსაკრებლების გადახდაზე.

- საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ცენტრის საინფორმაციო გვერდზე სისტემატიურად ქვეყნდებოდა სხვადასხვა სახის შემეცნებითი ხასიათის ინფორმაციები , გაიმართა 10 სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიება.

- ცენტრი რესპუბლიკური კონკურსის ,, ყველაზე სუფთა მუნიციპალიტეტი ‘’ 7 გზის გამარჯვებულია.

ცნობილი, რომ მყარი ნარჩენების მართვაში უმნიშვნელოვანესია წარმოქმნილი ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების რაც შეიძლება მინიმუმამდე დაყვანა. ამ მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, მერიისა და საქართველოს მყარი ნარჩენების

მართვის კომპანიის მჭიდრო თანამშრომლობით , 2023 წლიდან 2 მნიშვნელოვანი პროგრამის განხორციელება დაიწყო, ეს პროგრამებია:

1. ახალი რეგიონალური ნაგავსაყრელის მშენებლობა;

2. ახალი რეგიონალური ნაგავსაყრელის მშენებლობის ფარგლებში, მისი თანმდევი ისეთი პროგრამების განხორციელება, როგორიცაა:

- მუნიციპალიტეტის ტექნიკური აღჭურვა ქუჩების დასუფთავებისათვის , ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის.

- მუყაოსა და ქაღალდის ნარჩენების სეპარირება- რეციკლირების საპილოტე პროექტის განხორციელება.

მუნიციპალიტეტში ამ პროგრამების განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს, კერძოდ:

- გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ 2024 წელს დაიწყო სოფელ ცაცხვში მდებარე სამეგრელო - ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა ეროვნული და საერთაშორისო (ევროკავშირის) სტანდარტების შესაბამისად.

- ასევე, როგორც აღვნიშნეთ, პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის ტექნიკური აღჭურვა ქუჩების დასუფთავებისათვის , ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო კონტეინერებით, დამგველი ტექნიკითა და ნაგავმზიდები, . რაც მთლიანად შესრულდა და მუნიციპალიტეტმა მიიღო:

- სხვადასხვა სახის ნაგავ შემკრები კონტეინერი 2550 ცალი, 16 ერთეული სპეცტექნიკა, მათ შორის: დახურული ნაგავმზიდი 4 ერთეული; მცირეგაბარიტიანი სატვირთოები 6 ერთეული; თვლიანი ტრაქტორები მისაბმელებით 2 ერთეული , ექსკავატორი JCB; დამგველი , წყალმშხეფი და მანის მარკის თვითმცლელი ავტომანქანები ;

ტექნიკური აღჭურვის განხორციელებამ მუნიციპალიტეტში მკვეთრად გააუმჯობესა გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა, როგორც მოსახლეობის ისე ეკონომიკის სექტორის მომსახურეობის ხარისხი, ანაკლია განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლში მაღალი სტანდარტების დაცვით სისუფთავის უზრუნველყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ მყარი ნარჩენების სეპარირება - რეციკლირების პროცესის დაწყება მუნიციპალიტეტისათვის ერთ - ერთი მთავარი გამოწვევა იყო, რაც ასევე წარმატებით განხორციელდა.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების ანალოგიური პროექტის დაწყება, რაც აგრეთვე დიდი ნაბიჯი იქნება გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩნდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების დამატებითი წყარო.

უმჯობედება ცენტრის ფინანსური მაჩვენებლები. აბონენტების მომსახურეობით მოსაკრებლების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულმა შემოსავალმა საანგარიშო 11 თვეში შეადგინა 642,9 ათასი ლარი , რითაც 11% - ით შემცირდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდირების მაჩვენებელი..

ყოველწლიურად იზრდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მყარი ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი სახსრების მოცულობა. ,,ზუგდიდდასუფთავების ცენტრმა" ადგილობრივი ბიუჯეტიდან საოპერაციო ხარჯების დაფინანსების სახით 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე მიიღო 5971.6 ათასი ლარი, 318,8 ათასი ლარით მეტია წინა ანალოგიური პერიოდის მონაცემთან შედარებით.

ააიპ ,, ზუგდიდდასუფთავების ცენტრი „ მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით კვლავაც წარმატებით განახორციელებს მასზე დაკისრებული ფუნქციების და მოვალეობების შესრილებას.

- **ა(ა)იპ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი"**

საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ ,,ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს" გამოეყო ასიგნება 847,41 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდზე განხოციელდა საკასო ხარჯი 845,96 ათასი ლარის ოდენობით. გამოყოფილი ასიგნება მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად: 799,05 ათასი ლარი მოხმარდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; 5,84 ათასი ლარი გაცემულ იქნა სოციალური დახმარება (ბიულეტენი), 17.95 ათასი ლარი საქონელი და მომსახურეობას; 5,41 ათასი ლარი წარმომადგენლობით ხარჯებს, 12,00 ათასი ლარი სხვა დანაჩენი საქონელი და მომსახურებას, ხოლო 5,68 ლარი არაფინანსური აქტივების ზრდას.

2024 წელს 1 იანვიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ააიპ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 192.85 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდზე განხოციელდა საკასო ხარჯი 153,21 ათასი ლარის ოდენობით. აქედან 115,18 ათასი ლარი გაიხარჯა საქონელი და მომსახურების მუხლით, ხოლო 38,03 ათასი ლარი- არაფინასური აქტივების ზრდის მუხლით.

2024 წელს 1 იანვიდან 30 სექტემბრის ჩათვლით გაფორმდა 92 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 158,32 ათასი ლარი. აქედან, დაფინასების წყარო ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შეადგენდა 21,75 ათას ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლებით - 136,56 ათას ლარს.

ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები:

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში დაიდგა შალვა დადიანის თეატრის საბავშვო სპექტაკლი „აბუ და ბე".

- ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველო - საბერძნეთის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეიოფის ფინალის ჩვენება.
- ✓ განხორციელდა საინფორმაციო დაფების შეცვლა და უნიკალური ხეების ტრაფაფერეტებზე QR კოდების სტიკერების დამატება.

✓ დედამიწის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდებს ჩაუტარდათ მასტერკლასი მცენარეების ჩარგვასთან დაკავშირებით და ჩუტარდათ ლექცია დედამიწაზე მწვანე საფარის მნიშვნელობაზე.

✓ ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით ჩატარდა ისტორიული ევროპული ბაღების დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება.

✓ ბოტანიკური ბაღის და მოსწავლე ახალგაზრდობი სასახლის ერთობლივი პროექტი „ფოტომარათონი 2024“ ჩატარდა.

✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით ჩატარდა ისტორიული ევროპული ბაღების მე-7 ყოველწლიური საერთშორისო ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო 10 ევროპული ქვეყნის 31 წამომადგენელმა.

✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ერთობლივი პროექტის „ფოტომარათონი 2024“ გამარჯვებულების დაჯილდოვების ღონისძიება ჩატარდა.

✓ ზუგდიდის მერიის და ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით შშმ პირების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ბაღში გაიმართა სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიება.

✓ ბოტანიკურ ბაღში დიდ ეკრანზე ნაჩვენები იყო ევროპის ჩემპიონატის მატჩები

✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სამუშაო პროცესში დაზიანებული ინტერნეტის ბოჭკოვანი კაბელის აღდგენა.

✓ მერიის ორგანიზებით მოეწყო ესეების კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოვება.

✓ ბოტანიკური ბაღის ღია სივრცეში ჩატარდა ნეკა სებისკვერაძის და დათო ნოზაძის დუეტის კონცერტი.

✓ ბაღში ჩატარდა რაულ ჩილაჩავას საღამო , ღონისძიებას 120 სტუმარი ესწრებოდა.

✓ ბოტანიკრ ბაღში ჩატარდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია და კურსდამთავრებულთა გაცილების ღონისძიება, რომელსაც 500-მდე სტუმარი ესწრებოდა.

✓ ბოტანიკურ ბაღში დაიწყო პროექტი „გამხმარი ხეების ახალი სიცოცხლე“, რომლის ფარგლებში გამხმარი ხეების მორებისაგან გაკეთდა სხვადასხვა ვიზუალის მქონე 4 ქანდაკება და განთავსდა ბაღის სხვადასხვა სექტორში.

✓ სოციალური მედიის საშუალებით პერიოდულად ხდება საზოგადოების ინფორმირება ბაღში მიმდინარე სამუშაობის შესაახებ.

2024 წელს 1 იანვიდან 30 სექტემბრის ჩათვლით ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა კოლექციის გამრავალფეროვნებისა და მოვლის მიზნით განხორციელდა ბალახოვან-ყვავილოვან, ბუჩქოვან და ხე-მერქნოვან მცენარეთა გამრავლება, კოლექციის გაზრდა, ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია, მცენარეთა დაცვა და ყვავილების რეალიზაცია.

ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება ელექტროობასთან დაკავშირებული სამუშაოები, მათ შორის: გარე განათების ნათურების მონიტორინგი, ხარვეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა, საჭირეობის მიხედვით, ღონისძიებების დროს სხვადასხვა ლოკაციაზე დენის წყაროს უზრუნველყოფა-მიწოდება. სულ მიმდინარე 9 თვის მანძილზე გამოცვლილია 295 ნათურა , აქედან მაღალი ნათების - 50 ცალი, ხოლო დაბალი ნათების - 245 ცალი.

ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ბაღის ტერიტორიაზე წყალმომარაგებითი სამუშაოები და მათი საზედამხედველო სამუშაოები,რაც გულისხმობს: სარწყავი სისტემის გამართულობას, ხელოვნურ ტბებთან, ავზებთან, სველ წერტილებთან წყალმომარაგების უზრუნველყოფას, ღია არხების ამოწმენდას, ასევე საჭიროებისდა მიხედვით, ხორციელდება სათავო ნაგებობის გაწმენდა.

- ა(ა)იპ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“

საანგარიშო პერიოდში ცენტრში სულ დასაქმებული იყო 303 (სამას სამი) თანამშრომელი. აქედან ძირითად საშტატო ერთეულზე 280 (ორას ოთხმოცი) თანამშრომელი, ხოლო შტატგარეშედ, ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო 23 (ოცდასამი) თანამშრომელი.

2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან სულ გაწეულია ხარჯი 4 725 290 ლარი. საკუთარი სახსრებიდან შემოსულია 64 377 (სამოცდაოთხი ათას სამას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი, შესაბამის პერიოდში სულ გაწეულია ხარჯი 65 004 (სამოცდახუთი ათას ოთხი) ლარი და 2024 წლის 1ოქტომბრისათვის ნაშთი შეადგენს 37 049 (ოცდაჩვიდმეტი ათას ორმოცდაცხრა) ლარს. საანგარიშო პერიოდში საკუთარი შემოსავლებიდან გაწეულია ხარჯი 65004 ლარი,

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა პატრონობის დამტკიცებული წესის შესაბამისად ხორციელდება სასაფლაოების მოვლა,მოწყობა-პატრონობა. მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე საანგარიშო პერიოდში გაცემულია 238 მიწის ნაკვეთი, ზომით 5211კვ.მ, უფასოდ გაცემულ იქნა 240კვ.მ მიწის ფართობი.

2024 წლის 1 ოქტომბრისათვის დებიტორული დავალიანება შეადგენს 5 035 (ხუთი ათას ოცდათხუთმეტი) ლარს, მ/შ 2018 წლის- 1 840 (ერთი ათას რვაას ორმოცი) ლარი, 2019 წლის - 1 260 (ორას სამოცი) ლარი, 2020 წლის-930 (ცხრაას ოცდაათი) ლარი, 2021 წლის- 15 (თხუთმეტი) ლარი, 2023 წლის - 300 (სამასი) ლარი. 2024 წლის - 690 (ექვსას ოთხმოცდაათი) ლარი.

ცენტრის მიერ 2023-24 წელს შესრულებული სამუშაოები - ბორბლიანი ექსკევატორი:

სანიაღვრე არხი - 9195 მეტრი. გზის მოსწორება - 7525 მეტრი. სანიაღვრე მილის ამოღება ჩადება - 10 ერთეული. სანაპირო ზოლი - 330 კვ/მეტრი. მდინარის კალაპოტის ამოწმენდა - 750 მ/3. ბულდოზერი: მდინარეების კალაპოტის ამოწმენდა და ნაპირსამაგრი სამუშაოები - 3213 მ/კუბი. ტერიტორიის მოსწორება - 7020 მ/კვადრატი. გზის მოსწორება - 1630 მეტრი. გრეიდერი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზის მოსწორებითი სამუშაოები -24190 მეტრი. 2024 წლის 9 თვეში სულ გახარჯულ იქნა დიზელის საწვავი 171 409, 77 ლიტრი, 100 987,64 ლარი.

წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გარე- განათების ქსელის მოვლა-პატრონობაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 34 343 ლარი. 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც ქალაქში ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში ქუჩების, სპორტული მოედნების და სკვერების განათებების ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ჩატარებული სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად გახარჯულ იქნა სულ 163 413, 90 (ას სამოცდასამი ათას ოთხცას ცამეტი ლარი და 90 თეთრი) ლარი.

2023 წლის 01 ოქტომბრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წყალმომარაგების მიმართულებით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2015,5 ლარი. წყალმომარაგების მიმართულებით გაწეულმა ხარჯმა 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით შეადგინა სულ 16 328,70 ლარი.

მწვანე ბიუჯეტის ფარგლებში შესყიდულ იქნა დეკორატიული ხე-მცენარეები დარგვის მომსახურებით, ღირებულებით 53798,50 (ორმცდაცამეტი ათას შვიდას ოთხმოცდათვრამეტი და 50 თეთრი) ლარი. პარალელურად ხდებოდა სკვერების (აკ. წერეთლის, თეატრის, ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, ი. ალშიბაიას, ზ. გამსახურდიას, სამაიას ბაღის, სუსის შენობის მიმდებარე სკვერის, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარე ტერიტორია) მოვლა და მოწესრიგება. 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით გამწვანების მიმართულებით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 901, 50 (სამი ათას ცხრაას ერთი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ,,ცენტრ"-ის მიერ წარდგენილ იქნა სხვადასხვა ვაკანსია. ვაკანტურ პოზიციებზე დასაქმებული იყო 254 (ორას ორმოცდათოთხმეტი) სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი ბენეფიციარი, საიდანაც სასაფლაოების მომვლელის პოზიციაზე დასაქმებულ იქნა 247 (ორას ორმოცდაშვიდი) ბენეფიციარი.

სეზონურად ხორციელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მოთიბვითი სამუშაოები. მოთხოვნის საფუძველზე შესრულდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე რამოდენიმეჯერ სანიაღვრე არხის ამოწმენდითი სამუშაოები. დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური ბარიერები, საგზაო ნიშნები. სკვერებში , პარკებსა და ბაღებში განხორციელდა სკამების რეაბილიტაცია. 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის უზრუნველყოფის განყოფილების მიერ გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 165 640, 52 (ას სამოცდახუთი ათას ექვსას ორმოცი ლარი და 50 თეთრი) ლარი.

➢ განათლების პრიორიტეტის დაფინანსება

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება**

საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა:

1. მასწავლებლის ეროვნული დღე - მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით მოწვეულ იქნა 57 წარმატებული მასწავლებელი. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო შეხვედრა ნიკოსეულ სასახლეში და მასწავლებლებს გადაეცათ ყვავილების თაიგული, სერთიფიკატები და ფულადი ჯილდო. გახარჯული თანხა 20 315,60 ლარი.

2. დედაენის დღე - ღონისძიება გაიმართა 2024 წლის 14 აპრილს. იაკობ გოგებაშვილის ძეგლი შეიმკო ყვავილების თაიგულით და ღონისძიებაში მონაწილე დაწყებითი კლასის მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები. გახარჯული თანხა 740,60 ლარი.

3. ესეების კონკურსი - მერიის ინიციატივით ჩატარდა ესეს კონკურსი თემაზე „გასტრონომია, როგორც კულტურული მემკვიდრეობა და ჩვენი სიამაყე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით. გამოვლინდა 5 საუკეთესო ესეს ავტორი და გადაეცათ საჩუქრები. გახარჯული თანხა 645,85 ლარი.

4. ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფინალისტების მოწვევა - 2024 წლის 26 ივლისს მოწვეულ იქნა ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფინალისტი საჯარო სკოლის ეკოკლუბის წევრები, რომელთაც საჩუქრად გადაეცათ წიგნები და ყვავილების თაიგული. გახარჯული თანხა 907,05 ლარი.

5. მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით 2024 წლის 29 ივლისიდან 02 აგვისტოს ჩათვლით ჩატარდა ბაკურიანში. ბანაკში მონაწილეობა მიიღო 50-მა მოსწავლემ, ბანაკში ყოფნისას მოსწავლეებმა გაიარეს ტრეინინგები, რომელიც ეხებოდა ლიდერობას, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობებს, უსაფრთხოების საკითხებს, ეკოლოგიას. მოსწავლეებს ტრენინგების ჩატარების შემდეგ გადაეცათ სერთიფიკატები. გახარჯული თანხა 36 480 ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა:

1. მერის სახელობის სტიპენდიანტების მიღება - ღონისძიება ჩატარდა 2023 წლის 30 დეკემბერს დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ნიკოსეულ სასახლეში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერმა და მერის პირველმა მოადგილემ უმასპინძლეს მერის სტიპენდიანტებს, საჩუქრად გადასცეს სიგელები და ყვავილების თაიგული. გახარჯული თანხა 4 098 ლარი.

2. მერის სახელობის სტიპენდია - მერის სახელობის სტიპენდია დანიშნული ჰქონდა 70 წარჩინებულ სტუდენტს. გახარჯული თანხა 158 000 ლარი.

3. ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სასწავლებლებში ჩარიცხული სტუდენტებისთვის ფინანსურ ხელშეწყობას. გახარჯული თანხა 67 500 ლარი.

4. არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობაm - ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა წარმომადგენლების პროფესიული საქმიანობის განვითარებისთვის ფინანსურ მხარდაჭერას. გახარჯული თანხა 40 119.25 ლარი.

5. საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და ტექნოლოგიურ სფეროებში განსაკუთრებული შესაძლებლობების და მიღწევების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ფულადი ჯილდოს გაცემა. გახარჯული თანხა 4000 ლარი.

   საანგარიშო პერიოდში სულ გაიხარჯა 332 806,35 ლარი.

- **ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“**

ბაღებში სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიზნით, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა რიყის საბავშვო ბაღში, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 43 347 ლარს.

ასევე რიყის საბავშვო ბაღში დასრულდა შენობის რეაბიალიტაცია, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 37 409, 20 ლარს.

დანიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით სრულად რეაბილიტირებულია N1საბავშვო ბაღი, რომელიც აღიჭურვა 42 000 ლარის ღირებულების ავეჯით.

დასრულდა N16 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც სრულად აღიჭურვა მოპოვებული გრანტით ორგანიზაცია ,,საერთაშორისო მართმადიდებლური ქრისტიანული მოწყალება ''-ს მიერ.

სულ მოპოვებული გრანტი შეადგენს 124 085 ლარს.

დასრულდა შამგონის საბავშვშვო ბაღის მშენებლობა და აღჭურვა შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით.

აგრეთვე დასრულებულია ჭითაწყარის, დარჩელის N1 საბავშვო ბაღების მშენებლობა რომელიც საჭიროებს მხოლოდ სათანადო ინვენტარით აღჭურვას.

საბავშვო ბაღებისთვის შესყიდულია ოთახის სათამაშოები 42 000 ლარის ღირებულების.

2024 წელს გაგრძელდა საბავშვო ბაღის თანამშრომელთა სახელფასო ზრდა, საბავშვო ბაღის პერსონალის თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 100 ლარით. ხოლო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ხელფასი 10%-ით.

ეტაპობრივად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადება „აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“-ს მიხედვით, 2023 წელს გადამზადდა 150 აღმზრდელი . 66 საათიანი ტრენინგ-კურსის დასასრულს, მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შედეგად მათ გადაეცათ სერტიფიკატები,რომელსაც ორგანიზებას უწევდა ტენდერში გამარჯვებული აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 37 500 ლარს. უახლოეს პერიოდში, აღნიშნული ტრეინგ-მოდულით დაგეგმილია ეტაპობრივად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება.

მთავრობის მიერ დამტკიცებული ავტორიზაციის წესის მიხედვით, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციას ანხორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, (2030 წლის 1 იანვრამდე).

მიმდინარე წელი წარმოადგენს ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდს, ხოლო ამ გარდამავალი პერიოდის კერძოდ, 2024 წლის შემდეგ ადრეული და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ეტაპობრივი ავტორიზაცია მოხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

- ✓ 2022 წელს შეიქმნა ბაღების ელექტრონული ბაზა სკოლამდელი დაწესებულებებისთვის, სადაც დარეგისტრირდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო საბავშვო ბაღი.
- ✓ 2023 წელს შეიქმნა ელექტრონული თვითშეფასების პლატფორმის ,რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულმა ყველა საბავშვო ბაღმა გაიარა თვითშეფასების პროცესი ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მიხედვით.
- ✓ 2024 წელს მიმდინარეობს რეკომენდაციების შემუშავება ბაღების საჭიროებაზე .

ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი, გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ,ზუგდიდის მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, უზრუნველყოფენ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად.

➢ კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსება

• განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ღონისძიებებზე, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციის, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის, აქტივობების დასაფინანსებლად და ახალგაზრდული პროგრამების განსახორციელებლად დაიხარჯა: 180 761,45 ლარი შემდეგ ღონისძიებებზე:

- ახალგაზრდული ფორუმი 2023’, რომლის ჯამური ღირებულებაა - **6274,9 ლარი;**

ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამით დაფინანსებული პროექტები:

- ა(ა)იპ საქართველოს სტუდენტურ პარლამენტს, პროექტის I see you-აღმოაჩინე საქართველო-მარტვილის მუნიციპალიტეტი, ორგანიზების მიზნით გადაერიცხა - **4500 ლარი;**
- ა(ა)იპ საქართველოს სპორტინგის ფედერაციას კომპაკ სპორტინგის ჩემპიონატის ორგანიზების მომსახურების შესყიდვის ხარჯების ანაზღაურების მიზნით გადაერიცხა - **10 000 ლარი;**
- ა(ა)იპ საქართველოს შემეცნებითი ცენტრი -„ყულიშკარის ახალგაზრდული სივრცე უკეთესი მომავლისთვის“ -- **4500 ლარი;**
- ა(ა) იპ რ.ე.ს.ე 2023“-ს პროექტი -„სპორტული ფესტივალი“- **4900 ლარი;**
- ა(ა)იპ სამეგრელოს სკაუტების საერთაშორისო ცენტრი“-ს პროექტი „ავატარი 2023“ – 4950 ლარი.
- ა(ა)იპ მთავარი თაობა“-ს პროექტი „რიყეობა 2024“ - **1809 ლარი;**

- ახალგაზრდული მედია-კავშირის“-ს ორგანიზებით „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“ ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარადჭერა.
  მთის ეტლითთხილამურების ჩემპიონატი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში, ასევე მათი ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობებში. ა(ა)იპ „ახალგაზრდული მედია-კავშირის“ მიერ ბორჯომის მუნიციპალიტეტში (დაბა ბაკურიანი) ჩატარდა საყოველთაო პროექტი „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“, რომელიც გათვლილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და სამშვიდობო მისიებში დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეებზე - **2995 ლარი;**

- სამოყვარულო ფეხბურთის ჩემპიონატში (BETLIVE MASTER LEAGVE) ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი „მეგრის“ მონაწილეობის უზრუნველყოფა- **1500 ლარი;**

- ი/მ ასმათ ქირიათვის თანხის გადარიცხვა- ველორბოლა 2024-სთვის ბრენდირებული მაისურების შესყიდვა - **1430 ლარი;**
- ა(ა)იპ „საქართველოს ბეემვეს კლუბისთვის“ თანხის გადარიცხვა დრიფტის ჩემპიონატის IV -ეტაპის ორგანიზება - **19997,55 ლარი;**
- შპს ჯითი ჰოლდინგი“-სთვის თანხის გადარიცხვა -ანაკლიის საზღვაო სეზონის გახსნასთან დაკავშირებული გასართობი ღონისძიების ორგანიზების მომსახურება - **25400 ლარი;**
- ი/მ „ლაშა ნოზაძესთვის“ თანხის გადარიცხვა- ანაკლიის საზღვაო სეზონის გახსნასთან დაკავშირებული გასართობი ღონისძიების ფარგლებშიქართული მუსიკალური ჯგუფი „რეგიონის“ მოწვევასთან და მუსიკალური პროგრამით მომსახურეობის შესყიდვის ხარჯები.- **17 000 ლარი;**
- შპს „დეჟავუს“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულსი გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე (ქართულიჭიდაობა) სპორტსმენებისთვის კვებითი მომსახურების (ფურშეტის ორგანიზება) ხარჯების ანაზღაურების მიზნით გადაერიცხა - **455 ლარი;**

- ააიპ საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ საცხენოსნო სპორტის განვითარება და სპორტული ზრდა.

  საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ ფინანსური მხარდაჭერა ხელს უწყობს სპორტულ და ტრადიციულ ცხენოსნობის პოპულარიზებას. კლუბი მონაწილეობას იღებს (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელით)ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ ცხენოსნობის ეროვნულ (ისინდი, ცხენბურთი, დოღი, მარულა) და კლასიკური სახეობის შეჯიბრებებში (კონკურსი).- **80 000 ლარი**;

- **ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“**

კლუბის მიზანია ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისთვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დაძაბულ შეჯიბრებებში, სადაც მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ასპარეზობს ეროვნულ ლიგა 4-ში, 2023 წელს ჩაატარა 26 საშინაო და გასვლითი მატჩი, სატურნირო ცხრილში 49 ქულით დაიკავა 4 ადგილი და მხოლოდ 4 ქულა დააკლდა ლიგა 3-ში გადასასვლელად (მესამე ადგილზე მყოფ „გარდაბანს“ ქონდა 52 ქულა).

2024 წელს მზადება ჩემპონატისთვის დაიწყო 1 თებერვლიდან. პირველ წრეს გუნდი დაკომპლექტდა ადგილობრივი და 8 მოწვეული ფეხბურთელით. დაკომპლექტებისთანავე ინტენსიურად მიმდინარეობდა ვარჯიშები და ამხანაგური მატჩები, 2024 წლის 3 აპრილს დაიწყო ლიგა 4-ის ოფიციალური მატჩები და 22 ოფიციალური საშინაო და გასვლითი მატჩების შედეგად გუნდმა სატურნირო ცხრილში დაიკავა 1-ლი ადგილი 54 ქულით, აქედან 18 მოგება და 4 წაგებაა კლუბის ანგარიშზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დებულების თანახმად ლიგა 3-ში ასპარეზობისთვის კლუბმა 2023 წელს აიღო 2024-2025წწ ეროვნული ბ ლიცენზია. 2025-2026 წწ ლიცენზირების პროცესისათვის მზადება დაიწყო ივლისის თვეში, ექსტრანეტის გვერდზე აიტვირთა დოკუმენტაცია ზოგად, სამართლებრივ, საკადრო-ადმინისტრაციულ, სპორტულ, ინფრასტრუქტურულ და ფინანსურ კრიტერიუმებში.

2023 წელს საფეხბურთო კლუბის „ოდიში 1919“ ასაკობრივი გუნდები იღებდნენ მონაწილოეობას:

• U10,U11,U12,U13,U14 - სამეგრელო ზემო-სვანეთიოს რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში;

• U15 და U17 იღებდა მონაწილეობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში, კერძოდ, „ვერცხლის ლიგა“-ში

ასაკობრივი ლიგის გუნდებმა , კერძოდ U15 და U17 2023 წლის ჩემპიონატი დაასრულეს სატურნირო ცხრილში შემდეგი ადგილებით:

- U15-ის გუნდმა დაიკავა ქვედა ჯგუფში II ადგილი;

- U17-ის გუნდმა დაიკავა ქვედა ჯგუფში II ადგილი;

- U10-ის გუნდმა დაიკავა V ადგილი; U11 -მა დაიკავა VIII ადგილი; U12 -მა დაიკავა VII ადგილი ; U13 -მა დაიკავა VIII ადგილი ; U14 -მა დაიკავა II ადგილი.

2024 წელს კლუბის საფეხბურთო სკოლის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდები, წლის დასაწყისიდან ჩართულები არიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, იმერეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციისა და სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში. კლუბს ძირითადი გუნდის გარდა ჰყავს 8 ასაკობრივი კატეგორიის გუნდი:

- U10,U11,U12,U13,U14 - წარმატებით იღებს მონაწილეობას სრფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა შეჯიბრში;

- U16 - იღებს მონაწილეობას ირფფ-ს მიერ ორგანიზებულ რამაზ შენგელიას სახელობის თასის გათამაშებაში, ამ ეტაპზე U16 სატურნირო ცხრილში იკავებს IV ადგილს;

- U15 და U17 იღებს მონაწილეობას სფფ-ს მიერ ორგანიზებულ ჭაბუკთა ლიგაში, კერძოდ, „ვერცხლის ლიგა“-ში და იბრძვის „ოქროს ლიგი“-ს საგზურის მოსაპოვებლად. ამ ეტაპზე U15 იკავებს სატურნირო ცხრილში IV ადგილს, ხოლო U17 II ადგილს.

ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გაძლიერებისათვის უმნიშვნელოვანესი პირობაა ინფრასტრუქტურის განვითარება. მიმდინარე წლის მონაცემებით კლუბის ბალანსზეა:

სოფ. ჭითაწყარში მდებარე საფეხბურთო მოედანი - უძრავი ქონების რეგისტრაციის ნომერი 43.14.43.219, საერთო ფართობი: 24908,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1, განაშენიანების ფართი 54,41 კვ.მ - მერიის თანადგომით მოხდა აღნიშნული სტადიონის შემოღობვა, კლუბმა საკუთარი ძალებით მოაწესრიგა სტადიონზე არსებული შენობა-ნაგებობა და მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ დამონტაჟდა სკამები (მაყურებლების, სათადარიგო ფეხბურთელების და მწვრთნელების), გარე-განათება, ასევე საფეხბურთო მოედნის ირგვლივ განთავსდა სხვადასხვა ორგანიზაციების სარეკლამო ბანერები, საფეხბურთო კარებს უკან დამონტაჟდა ბურთის დამცავი ბადეები. სტადიონზე გაყვანილ იქნა სანიაღვრე არხები.

თბილისის ქუჩაზე მდებარე 1574,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ 43.31.55.561.

სოფ. ჩხორიაში (ზედაეწერი) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა 16 183,00 კვ.მ ს/კ 43.01.47.059

ზემოაღნიშნულ მოედნებზე ინტენსიურად მიმდინარეობს სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების ვარჯიშები და ადგილობრივი ამხანაგური მატჩები.

კლუბის ბალანსზეა 2 ავტობუსი: ISUZU TURKUAZ სახელმწიფო ნომრით - SZ047ZS და ISUZU BOGDAN სახელმწიფო ნომრით HH174HN. სატრანსპორტო საშუალებები ემსახურება

სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის გუნდების ტრანსპორტირებას. 400 - მდე ფეხბურთელი სარგებლობს ზემოაღნიშნული მომსახურეობით.

კლუბი ეძებს, იზიარებს და ნერგავს საუკეთესო პრაქტიკებს საქმიანობის ეფექტურად განხორციელების მიზნით. მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებით თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას შორის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებით, ნიჭიერი ფეხბურთელების აღმოჩენით და მათი განვითარებით, პროფესიული მიდგომით, საჭირო ინფრასტრუქტურით და ფინანსური რესურსით, სრულებით რეალურია ჩვენმა კლუბმა აღზარდოს არაერთი პერსპექტიული ფეხბურთელი.

- **განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილება**

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 622. 50 ლარი მიიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე:

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გაიმართული ლიტერატურული პროექტი „ცოცხალი წიგნები“, ღვინის ფესტივალი, ზუგდიდელი მწერილი და პოეტის მიმოზა ცანავას შემოქმედებითი საღამო, სსიპ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლის პრემიერა, ბერტა ფონ ზუტნერის პრემიის დაჯილდოება.

2024 წლის ბიუჯეტით სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის მიმდინარე წლის 01 ოქტომბრამდე ჯამში გაიხარჯა 348 110. 70 (სამასორმოცდარვა ათას ასათი ლარი და 70 თეთრი) ლარი შემდეგ ღონისძიებებზე:

საახალწლო და საშობაო ღონისძიებების ორგანიზებისთვის - **ბიუჯეტი 141 840 ლარი.**

დედის და ქალთა დღე „მარტის თვეა შენი“ ფარგლებში ლაშა ღლონტის და მისი ოჯახის შემოქმედებითი საღამო - **ბიუჯეტი 5 105 ლარი.**

ვლაქერნობის დღესასწაული - **ბიუჯეტი 4 198 ლარი.**

ზუგდიდის საპატიო მოქალაქისა და საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებული ღონისძიება - **ბიუჯეტი 10 682.70**

გასტრო ტურიზმის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით, ჩატარდა ზუგდიდის გასტრონომიული ფესტივალი „გემო ფესტი“ - **ბიუჯეტი 185 565 ლარი.**

27 სექტემბერი, სოხუმის დაცემის დღე - **ბიუჯეტი 450 ლარი**

სხვადასხვა სახის ღონისძიებებისთვის ყვავილების თაიგული - **ბიუჯეტი 270 ლარი.**

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროგრამა - პროგრამიდან 2024 წელს ჯამში გაიხარჯა **235 835, 87 ლარი** შემდეგ ღონისძიებებზე:

- კონკურსი ,,ზუგდიდის შემოქმედებითი სივრცეებისა და კლასტერების განვითარება“ ფარგლებში, ააიპ ,,პარტნიორები დემოკრატიის განვითარებისათვის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,ხელოვნების ფაბრიკა“ - **ბიუჯეტი 12 663, 44 ლარი.**
- კონკურსი ,,ზუგდიდის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება“ ფარგლებში, ააიპ ,,მომავალი მე ვარ“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,ART - ტექსტილი“ - **ბიუჯეტი 24 999, 83 ლარი.**
- კონკურსი ,,ზუგდიდის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება“ ფარგლებში, ააიპ ,,ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,დაბრენდე ხელოვნება“ - **ბიუჯეტი 31 057, 30 ლარი.**
- კონკურსი ,,ზუგდიდის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება“ ფარგლებში, ააიპ ,,ფონდი ახალგაზრდების განვითარებისთვის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,დაბრენდე ხელოვნება“ - **ბიუჯეტი 11 242 ლარი.**
- კონკურსი ,,ზუგდიდის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება“ ფარგლებში, ააიპ ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია ,,ჰანგის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი სავიზიტო ბარათია“ - **ბიუჯეტი 9 609 ლარი.**
- კონკურსი ,,ზუგდიდის შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება“ ფარგლებში, ააიპ ,,ზუგდიდის ტურიზმის კლასტერი მოზოჯის“ მიერ განხორციელებული პროექტი ,,შემოქმედებითი სუვენირები ზუგდიდს“ - **ბიუჯეტი 10 264,23 ლარი.**
- დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში, მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს, გაიმართება ზუგდიდის კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ფორუმი. ფორუმი მოიცავს სამ მიმართულებას: ზუგდიდი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციის ქალაქი, ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქი, გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი - **ბიუჯეტი 136 000 ლარი.**

ს.ს.ი.პ. ,,ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ ხელშეწყობის პროგრამა - ს.ს.ი.პ. ,,ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს ფარგლებში საგასტროლე ტურნეებისა და ახალი სპექტაკლის სადადგმო ხარჯებისთვის - **ბიუჯეტი 30 000 ლარი.**

განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ღონისძიებების დაფინანსება - 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა: 100 000 (ასი ათასი) ლარი მიიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული (არქეოლოგიური) მემკვიდრეობის შესახებ მოხდა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომის პრეზენტაცია, ჩატარდა საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება, სტუდენტ -ახალგაზრდებისთვის დაინერგა საველე არქეოლოგიურ გათხრებში პრაქტიკულად ჩართვის მეთოდიკა. პერიოდულად მოეწყო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო-სადაზვერვო სამუშაოები, ზუგდიდის კერძო და საჯარო სკოლებში მოეწყო შემეცნებითი ხასიათის ლექცია-სემინარები, მოსწავლე-ახალგაზრდებს შორის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა სხვადასხვა სახის ვიქტორინა კონკურსი და სამეცნიერო კონფერენცია, მოეწყო კავკასიის ხალხთა საერთაშორისო ლიტერატურულ - ფოლკლორული ფესტივალი. ასევე აღსანიშნავია, რომ კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლების დაცვის პანევროპული ორგანიზაცია ევროპა ნოსტრას ნომინაციაზე წარდგენილ იქნა ჭაქვინჯის ციხე, რომელმაც მოიპოვა 10 000 ევროს ოდენობით ფინანსური დაფინანსება.

განხორციელებული პროექტები: მოსწავლე - ახალგაზრდებში საგანმანათლებლო ვიქტორინა - კონკურსი ,,ვიცნობდეთ ჩვენი ქალაქის ისტორიას“ , ბიუჯეტი: 1386 (ერთი ათას სამას ოთხმოცდაექვსი) ლარი; პროექტი: ცაიშის სამაროვნის არქეოლოგიური მემკვიდრეობა, ბიუჯეტი: 31 873.15 (ოცდათორმეტი ათას რვაასსამოცდაცამეტი ლარი და 15 თეთრი) ლარი; პროექტი: სტუდენტთა ახალგაზრდულ -პრაქტიკული სწავლება არქეოლოგიაში. ბიუჯეტი: 1000 (ერთი ათასი) ლარი; პროექტი ,,ნორჩი მკვლევარი“, ბიუჯეტი: 7730 (შვიდი ათას შვიდას ოცდაათი) ლარი; პროექტი: კავკასიის V საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი - ,,ანაკლია 2023“, ბიუჯეტი: 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;

სულ გაიხარჯა: 56 989.15 (ორმოცდათექსვმეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა ლარი და 15 თეთრი) ლარი.

2024 წლის ბიუჯეტით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით გათვალისწინებულია 110 000 (ას ათი ათასი) ლარი, რომელიც მიმართულ იქნა შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ძეგლების აღრიცხვის, გაციფრულებისა და კარტოგრაფირების მიზნით საძიებო-სადაზვერვო ექსპედიციის ორგანიზების მომსახურების შესყიდვა - ბიუჯეტი 16444.89 (თექვსმეტი ათას ოთხას ორმმოცდაოთხი ლარი და 89 თეთრი) ლარი.
2. საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში (პროექტი ,,ნორჩი მკვლევარი“, ვიქტორინა კონკურსი ,,ვიცნობდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორიას“), გამარჯვებული მოსწავლე-ახალგაზრდებისათვის სასაჩუქრე წიგნების შესყიდვა - ბიუჯეტი: 1272 (ერთი ათას ორას სამოცდათორმეტი) ლარი.
3. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცვანეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ბრინჯაოს და ანტიკური პერიოდების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ე. წ. „ცვანე დიხაგუძუბას“ საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების მომსახურების შესყიდვა **- ბიუჯეტი 34452** (ოცდათოთხმეტი ათას ოთხას ორმოცდათორმეტი) ლარი; შენიშვნა:

სამუსაოები დასრულებულია, მიმდინარეობს საბოლოო ანგარიშსწორება, თანხა ჯერ გადარიცხული არ არის.

მიმდინარე წლის 01 ოქტომბრამდე ჯამში გაიხარჯა 17716.89 (ჩვიდმეტი ათას შვიდას თექსვმეტი ლარი და 89 თეთრი) ლარი

რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, რელიგიის ხელშეწყობის პროგრამის დასაფინანსებლად გამოყოფილი იყო 135 000 (ას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, რომელიც ორ ეტაპად ჩაერიცხა საქართველოს საპატრიარქოს ზუგდიდისა და ცაიში ეპარქიას შემდეგი მიზნობრიობით:

1. ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის მამათა მონასტრის სამშენებლო სამუშაოების თანადაფინანსება 130 000 (ას ოცდაათი ათასი) ლარი.
2. რუხის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სამშენებლო სამუშაოებისათვის თანადაფინანსება - 5 000 (ხუთი ათასი) ლარი.

ბიუჯეტი: 135 000 (ას ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამისთვის (კოდი 05 02 08) გათვალისწინებულია 20 000 (ოცი ათასი) ლარი, რომელიც მიმართულია შემდეგი მიზნობრივი ხარჯებისთვის: 1500 (ერთი ათას ხუთასი) ერთეული, ორენოვანი (ქართულ - ინგლისური) გზამკვლევის, სახელწოდებით ,,დადიანების სასახლე“ ბეჭდური სახით გამოცემის მომსახურების შესყიდვა.

საფუძველი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმს შორის გაფორმებული N180 14.05.2024 წ. ხელშეკრულება. **ბიუჯეტი**: 20 000 (ოცი ათასი) ლარი.

- **ა (ა)ი პ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი**

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (კოდი 050201) ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრს”, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის #48 დადგენილებით, 2024 წლის ასიგნება შეადგენს 1550000 ლარს.

ცენტრის მიერ მ/წლის 1 ოქტომბრისთვის ჩატარდა მნიშვნელოვნი კულტურულ ღონისძიებები აქედან აღსანიშნავია: 1. პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის ფესტივალი- 51910 ლარი; 2. რეზო ბულიას სახ. ქორეოგრაფიული ანსამბლ „ჩელა“-ს საზღვარგარეთ მივლინება თურქეთის რესპუბლიკის ქ. დენიზლში, ხალხური ცეკვების მე-18 საერთაშორისო ფესტივალზე -15968 ლარი; 3. დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში ჩატარებული ზუგდიდის კლასიკური მუსიკის III ფესტივალი- 118605 ლარი: ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ანსამბლების გარდერობის განახლება- 9510 ლარი.

ხელოვნებისდა და კულტურის განვითარების ცენტრის 2024 წლის მე-3 კვ. მდგომარეობით დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1221500 ლარით, ხოლო ცენტრის საკასო შესრულება 1,10,2024 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 1221215 ლარს.

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, ცენტრისთვის უზუფრუქტით გადმოცემული უძრავი ქონების დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. კერძოდ, სამხატვრო გალერეას, სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზის დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი.

2024 წლისთვის საკუთარი შემოსავალი დაიგეგმა 30 000 ლარის ოდენობით. 2024 წლის მე-3 კვარტალის მდგომარეობით შემოსავალი საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 20772,37 ლარს. აქედან, დარბაზის და სარეპეტიციო დარბაზის მომსახურებიდან შემოსავალი- 14755 ლარი, ნაშთი 01,01,2024 წლისთვის 6017,37 ლარი. 2024 წელს 1 ოქტომბრის მდგომარეობით ცენტრის საკასო შესრულება საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 12820 ლარს.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მიერ წლის განმავლობაში განხორციელდა შიდა და საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებები. დიდია ცენტრის ჩართულობა სხვადასხვა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში, სატელევიზიო გადაცემებში, საქველმოქმედო და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში. აღსანიშნავია ცენტრის მიერ განხორციელებული შემდეგი უმნიშვნელოვანესი პროექტები:

1. პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის IV საერთაშორისო ფესტივალი, ფესტივალი ეძღვნებოდა უდიდესი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას 100 წლის იუბილეს. წლევანდელი ფესტივალი ჩტარდა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით, რომელმას საიუბილეო წელთან დაკავშირების გამოუშვა პილიკარპე ხუბულავა სიმღერების აუდიო-ვიდეო. ფესტივალში მონაწილეობა მიიღო როგორც საქართველოში არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა ასევე საზღვარგარეთიდა მოწვეულმა ქართულმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა. ღონისძიება ჩატარდა მ/წლის 15-16 ივლისს.

2. მ/წლის 1 სექტემბერს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზოში ჩატარდა ზუგდიდის კლასიკური მუსიკის III ფესტივალი. მიმდინარე წელს საფესტივალო კონცერტი მიეძღვნა ცნობის საერთაშორისო ქართველ ტენორს .ფესტივალში მონაწილეობდნენ საერთაშორისო დონის ოპერისმომღერლები.

3. მ/წლის 19 ივლისიდან 27 ივლისის ჩთვლით ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის რეზო ბულიას სახ. ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩელა“ მიწვეული იყო თურქეთის რესპუბლიკის ქ.დენიზლში. ხალხული ცეკვის საერთაშორისო ხელოვნების მე-18 ფესტივალზე.

4. ცენტრის ანსამბლებმა: რეზო ბულიას სახ. ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩელა„-მ და ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია„-მ მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სატელევიზიო პროექტებში.

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვთარების ცენტრში 17 მარტს ჩატარდა ხელოვნების ფეტივალი ,,ქართული ცეკვა სული ერისა“, ფეტივალის ფარგლებში გალა კონცერტი გაიმართა, სადაც მონაწილეობდნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯ.დუნდუას სახელობის ხალხური ცეკვების სახელმწიფო ანსამბლი ,,გურია“, აფხაზეთის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,არტსაქართველო“-უფროსი თაობა, თბლისის ფოლკლორული ანსამბლი ,,გუმბათი“, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ანსამბლები: ბავშვთა და მოზარდთა სახალხო ქორეოფრადიული ანსამბლი ,,ცისკარი“ და რეზო ბულიას სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ჩელა.“ღონისძიება სამეგრელო-ზემო სვანეთის ქორეოგრაფთა რეგიონალური კავშირისა და ზუდიდის მუნიციპალიტეტის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა.

6. 12 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის " და სამეგრელო- ზემო სვანეთის ქორეოგრაფთა კავშირის ერთობლივი ორგანიზებით, ცენტრის საკონცერტო დარბაზში სააღდგომო - საზეიმო კონცერტი ჩატარდა, სადაც მონაწილეობდნენ ცენტრის შემოქმედებითი ანსამბლები და რეგიონში მოღვაწე სხვადახვა ქორეოგრაფიული ანსამბლები. კონცერტის საპატიო სტუმრები გახლდათ რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,როკვა." ხელმძღვანელი ხელოვნებადმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორის მოადგილე ბატონი უჩა დვალიშვილი. ასევე კონცერტს ესწრებოდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო არტისტი, სუხიშვილების ოქროს თაობის მოცეკვავე ბატონი ნუგზარ ჯიქური.

❖ ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“

2023 წლის 15 სექტემბრამდე, ახალ სასწავლო წლის დაწყებამდე ყველა სტრუქტურულ ერთეულში ჩატარდა მისაღები გამოცდები. გამოვლინდნენ წარმატებული კონკურსანტები,

გაიზარდა მოსწავლეთა რაოდენობა. სასწავლო წლის დაწყებამდე ოთხივე სტრუქტურულ ერთეულში ჩატარდა პედაგოიური საბჭოს სხდომა, სადაც დაზუსტდა მოსწავლეთა კონტიგენტი, შედგა ტარიფიკაცია, რომლის საფუძველზე განისაზღვრა პედაგოგების კვირეული საათობრივი დატვირთვა და დამტკიცდა სასწავლო-სამუშაო გეგმა.

2023 წლის 17 ოქტომბერს, N1 სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ქ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობას“ მიერ ორგანიზებული სოფლად მცხოვრებ ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომლის მთავარი მიზანი იყო სოფლად მცხოვრები ქალების მიმართ მადლიერების გამოხატვა და წახალისება. აუდიტორიის წინაშე მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების N1 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლის მოსწავლეები.

2023 წლის 21 ოქტომბერს, წყალტუბოს კულტურის ცენტრში გაიმართა ფესტივალი „მაფშალია“, რომელშიც მონაწილეობდა სახელოვნებო სკოლების გაერთიანებაში შემავალი ფოლკლორული ანსამბლი „ლილე“.

2023 წლის 9-11 ნოემბერს, ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ხელოვანთა კავშირის ფესტივალის „მომავლის ვარსკვლავების“ პროექტი „ფესტივალიდან ფესტივალამდე“, რომელშიც წარმატებულად მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების N1, N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების მოსწავლეები.

მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ კონკურს-ფესტივალებში. სკოლებში, ლოკალურად ჩატარდა კამერული ტიპის კონცერტები, კლასიკური მუსიკის საღამოები, თემატური გამოფენები და სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და კულტურული პროექტები, ჩაიწერა სადღესასწაულო აუდიო და ვიდეო კლიპები.

2024 წლის 16 მარტს თბილისში ჩატარდა კონკურს-ფესტივალი ,,ნორჩი ვირტუოზი“, რომელშიც მონაწილეობდნენ საგუნდო-სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო მიმართულების მოსწავლეები.

2024 წლის 19 მარტს გაიმართა სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თემატიკაზე.

2024 წლის 19 მარტს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ბახის სახელობის მე-7 ეროვნული კონკურსი, სადაც საგუნდო-სამუსიკო სკოლის შვიდივე მოსწავლემ ლაურეატის წოდება დაიმსახურა.

2024 წლის 12 მაისს ქალაქ თბილისში, ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა მე-16 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“-ს გალა კონცერტი. N1,N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულების აღსაზრდელებს მიენიჭათ უმაღლესი ჯილდოები, გადაეცათ საპატიო დიპლომები.

2024 წლის 22-27 ივნის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, სამხატვრო სკოლის 4 მოსწავლე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორის ნათია ფიფიას ხელმძღვანელობით „N STUDIA“-ს ორგანიზებით გაემგზავრნენ ესპანეთის საერთაშორისო ფესტივალზე. ქალაქ კალილელაში აღსაზრდელებმა გამოფინეს თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები, მონაწილეობა მიიღეს პლენერებში. ჟიურის გადაწყვეტილებით ზუგდიდელ ბავშვებს და გაერთიანების დირექტორს გადაეცათ სპეციალური პრიზი, მედლები და დიპლომები.

კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობის შედეგად მოსწავლეებმა სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასა და მუნიციპალიტეტს მოუტანეს უამრავი წარმატება. სახელოვნებო სკოლების აღსაზრდელები გახდნენ საპატიო ადგილის მფლობელები, მიენიჭათ ლაურეატის წოდებები და მოიპოვეს უმაღლესი საშემსრულებლო ჯილდო - გრანპრი.

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალური, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან ერთად ეწევა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურულ-საგანმანათლებლო სამეცნიერო-ინფორმაციულ მომსახურებას. თავისი საქმიანობის განსახორციელებლად ფინანსდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის **2024 წლის 08 იანვრიდან 30 სექტემბრის** ჩათვლით. **სულ წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი - 980 000.00 ლარი**, ექვსი თვის ხარჯის **შესრულება 707283.58 ლარი; შრომის ანაზღაურებაზე- 658377.18** ლარი, **საქონელი და მომსახურება -39 162.28 ლარი, მათ შორის: ოფისის ხარჯი- 27 906.78 , სხვა ხარჯები 150 ლარი, ძირითადი აქტივების ხარჯი -9 954.12 , აქედან, ბიუჯეტის სახსრებით შესყიდულ იქნა - 622 ცალი წიგნი, 7606.72 ლარის.**

მართვის ცენტრში ცხრა თვის განმავლობაში მიღებულ იქნა სულ -1062 ცალი წიგნი, თანხით- 10685.47 ლარის. აქედან ბიუჯეტის სახსრებით შესყიდულის გარდა საჩუქრად შემოვიდა - 440 -ცალი წიგნი, თანხით -3078.75 ლარის. მართვის ცენტრი მოემსახურა- **6180- მკითხველს,** დამსწრეთა რაოდენობა იყო -**98360 მომხმარებელი/ მკითხველი;** მათზე გაიცა- **23286 წიგნი და ინფორმაცია.**

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ამერიკულ კუთხესთან, საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან ერთად ორგანიზება გაუწია და განახორციელა სხვადასხვა პროექტები:

2024 წელს ბიბლიოთეკამ გააგრძელა **პროექტი - „სკივრიდან გაცოცხლებული ზუგდიდური ამბები“,** რომელიც ითვალისწინებს ზუგდიდელთა ოჯახებში დაცული

ძველი ნივთების აღმოჩენასა და მათ მიერ მოთხრობილი ყოფითი ამბების გაშუქებას, ბიბლიოთეკის სოციალურ გვერდზე. პროექტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ოჯახის რელიქვიების ფოტოები გამოქვეყნდა.

17-18 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განხორციელდა პროექტი - **„ლაზური წიგნიერების დღეები“.** პროექტის ფარგლებში ზუგდიდს ესტუმრნენ როგორც სარფელი ლაზები, ისე თურქეთში მოქმედი ლაზური ენისა და კულტურის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები და დამოუკიდებლად მომუშავე პირები, რომლებიც ზრუნავენ ლაზური ენის გადარჩენაზე, გამოსცემენ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას, ქმნიან მასმედიასა და მუსიკას.

შეხვედრა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ თამაზ თოლორაიასთან. თამაზის ოჯახში ინახება უძველესი ფოტოები, პირადი ნივთები, XIX-XX საუკუნის დასაწყისის უძველესი გამოცემები, ძველი ხელნაწერები, მე-19 საუკუნის საბრძოლო ხანჯალი, აფრიკიდან გამოგზავნილი ხარის ყანწი, ბებიას ნამზითვი ძველი მაგიდა და ნარდი, ქვევრები-4 აპრილი;

ვალოდია კლდიაშვილის პერსონალური გამოფენა - გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ბატონი ვალოდიას ფერწერული ნამუშევრები, პორტრეტები, პეიზაჟები და ნატურმორტები.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მერაბ კოსტავას სახელობის ზუგდიდის N2 საჯარო სკოლის მკითხველთა კლუბის ,,ცოდნა სინათლეა" ორგანიზებით ჩატარდა დასკვნითი შეხვედრა თემაზე - ,,ნორჩი დეკლამატორები".

ნორჩი მკითხველების საღამო - „შენს თვალებში გაზაფხული ბრწყინავს“ ბიბლიოთეკის ერთგულმა მკითხველებმა ქალბატონებს, დედებს წაუკითხეს საყვარელი ლექსები, ისაუბრეს წიგნებსა და დედის დღის მნიშვნელობაზე.**-6 მარტი ;**

მონოსპექტაკლი „ჩემი ცხოვრება უჩემოდ“, რომელიც მიეძღვნა პოეტს, მხატვარსა და მომღერალს, „პატარა გენიოსად" წოდებულ დათო კრაწაშვილს.

შეხვედრა გერმანელ მწერალ კონსტანცე ჯონისთან - 1997 წლიდან თავისუფალი მწერალია, ამზადებს სამოგზაურო რეპორტაჟებს გერმანიის საზოგადოებრივი რადიომაუწყებლისათვის და საერთო გერმანული რადიოკომპანიისათვის, წერს საბავშვო ლიტერატურას, ლიბრეტოებს ოპერებისათვის და სცენარებს ფილმებისთვის.

ავსტრიელი მწერლის ბარონ არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერის ნაშრომის - „კავკასიის შვილების“ პრეზენტაცია-წიგნის მთარგმნელმა ფილოსოფიის დოქტორმა, გერმანიაში მოღვაწე პროფესორმა თამაზ გვენეტაძემ წარმოდგენილი პრეზენტაციისა და წიგნში შესული მოთხრობების ფონზე ისაუბრა არტურ ზუტნერის შემოქმედებაში ასახული მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრების დეტალებზე.

ამერიკულ კუთხეში ჩატარდა ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებლის, ამერიკისმცოდნეობის მაგისტრის **ედუარად ციკოლიას საჯარო ლექცია თემაზე** - „ჯაზის ეპოქის გამოძახილი ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის შემოქმედებაში“.

შეხვედრა „გასტრო ცენტრის“ ხელმძღვანელ, გასტროქირურგ მურად ღვინჯილიასთან, რომელმაც წაიკითხა საჯარო ლექციას თემაზე - თანამედროვე ტექნოლოგიები მედიცინაში - დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ფოტოამბები. აფხაზეთი. XIX საუკუნე - გამოფენას უძღვებოდა მწერალი, პუბლიცისტი, სსუ-ს დოქტორანტი, გიორგი შარვაშიძისა და ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის პრემიების ლაურეატი – ნანა ქარდავა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფოტოპორტრეტები და ხელნაწერი დოკუმენტები.

შეხვედრა ათასწლეულის გამოწვევების ფონდის მიერ, აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერითა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით საქართველოში განხორციელებული კონკურსის გამარჯვებული გუნდის- TerraTech-ის ზუგდიდელ წევრებთან.

ზუგდიდის ამერიკული კუთხეში აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა მიმართულების პროექტები:

1. **ინგლისური ენის სამთვიანი სწავლების კურსი ზრდასრულთათვის;**

2. **ბუღალტრული აღრიცხვა+ ORIS -ის პრაქტიკული კურსი.**

ფუნქციონირებდა კლუბები: ბავშვებისათვის: ინგლისური ენის შემსწავლელი, სამაგიდო თამაშების. ასაკობრივი კატეგორია 6-18; სხვადასხვა შეხვედრები, პრეზენტაციები.

➢ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური**

2023-2024 წწ სამსახურმა პროგრამებში დანერგა გარკვეული სიახლეები და განახორციელა რამდენიმე პროგრამის ცვლილება:

- აბილიტაციის პროგრამაში ჩართული ბენეფიცირების რაოდენობის ლიმიტი გაიზარდა 150-მდე;

- კორონაროგრაფია მოწყვად ჯგუფებს დაუფინანსდებათ არაუმეტეს 1 000 ლარით, ხოლო სხვა დანარჩენი მოსარგებლეები დაკმაყოფილდებიან არაუმეტეს 500 ლარით.
- გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე და მასზე საეჭვო პირებისთვის მაგნიტო რეზონანსული კლვლევა დაფინანსდება სრულად.
- ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება გაიზარდა 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე.
- გაზიფიკაციის პროგრამაში ჩასართავი ოჯახების სარეიტინგო ქულა გაიზარდა 65 000-მდე.

სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება

საანგარიშო პეირიოდში სოციალური პროგრამებით ისარგებლა **6552 ბენეფიციარმა,** რაზეც გაიხარჯა 2 846 400 (ორი მილიონ რვაასორმოცდაექვსი ათას ოთხასი) ლარი, რომელიც პროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა: 725 ბენეფიციარი -ამ** პერიოდში 300 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა ცხელი სადილით ყოველდღიურად, უფასო სასადილო ქალაქში-სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე 425 ოჯახმა (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღო საკვები პროდუქტების პაკეტები ერთჯერადად რისთვისაც გაიხარჯა **332 400 (სამასოცდათორმეტი ათას ოთხასი)** ლარი.
- **ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 25 ბენეფიციარმა, გაიხარჯა 41 500 (ოცდაცდაერთი ათას ხუთასი) ლარი, კერძოდ:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა კავშირისთვის ყოველთვიური სუბსიდია -2 665 (ორი ათას ექვსასსამოცდახუთი) ლარი, ომის მონაწილის გარდაცვალებისას სარიტუალო ხარჯებისთვის 300 (სამასი) ლარი. 2008 წლის აგვისტოს თვეში ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად დაღუპული პირების ოჯახების დასახმარებლად 1000 (ერთი ათასი) ლარი და 9 მაისთან დაკავშირებით მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან გათანაბრებული პირების დახმარება 200 (ორასი) ლარით.
- **გენდერული თანასწორობისა და ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 194 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 52 500 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი,** კერძოდ **:** მრავალშვილიანი ოჯახებისათვის- 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარი; 5 ბავშვზე – 300 ლარი და ა.შ; პირველი–მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65001–ზე ნაკლები) – 200 ლარი; ტყუპის შეძენისას – 500 ლარი ; დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 100 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე ოდენობით.
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 656 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 226 500 (ორას ცდაექვსი ათას ხუთასი) ლარი, კერძოდ:** 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი, სმენა და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური გადასახედების

თანადაფინანსებისთვის ფულადი დახმარება 25-25 ლარი 4 თვის მანძილზე. შშმ პირებს (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები), მოვლის საჭიროების მქონე პირთა დაფინანსება ყოველთვიურად 100 (ასი) ლარი.

- **მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა: ისარგებლა 310 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 88 000 (ოთხმოცდარვა ათასი) ლარი.** მარჩენალდაკარგულ ოჯახებს, გაეწიათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 200 ლარის ოდენობით. მარტოხელა მშობლის ყოველთვიური დახმარება - 50 ლარის ოდენობით;
- **ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 60 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 21 100 (ოცდაერთი ათას ასი) ლარი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერადი 1000 - ლარიანი დახმარება, სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის - ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარი. მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულებს მიეწოდათ შინმოვლის სერვისი.

- **სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა ბიუჯეტი: გახარჯულია 79 600 (სამოცდაცხრამეტი ათას ექვსასი) ლარი -** მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეების (ადგილობრივი და დევნილი), დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისთვის, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა – ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით მიიღო **1100 ოჯახმა.** შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა
- **ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა: ისარგებლა 139 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 125 100 (ასოცდახუთი ათას ასი) ლარი. კერძოდ:** ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება: თითოეულს თვეში 100 - 150 ლარი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პერიტონიალური დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სერვისის მისაღებად გადაადგილებიან სხვა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში - ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში თითოეულს - 200 (ორასი) ლარი; სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), მგზავრობის ხარჯების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ 200 (ორასი) ლარი; სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწირო პროგრამა - დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება.
- **სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა: ისარგებლა 267 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 449 900 (ოთხასორმოცდაცხრა ათას ცხრაასი) ლარი, კერძოდ:** ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება (5000 ლარამდე). დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის,

წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). მეწყერის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე - 500 ლარი. უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ბინის ქირით უზრუნველყოფა- თითოეულ ოჯახზე 200 ლარი ყოველთვიურად.

- **დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა: ისარგებლა 404 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 40 400 (ორმოცი ათას ოთხასი) ლარი,** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარი წელიწადში ერთხელ.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამით ისარგებლა 1369 ბენეფიციარმა, რისთვისაც გაიხარჯა 345 500 (სამასორმოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი,** კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35001-ზე ნაკლები) კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება 25-25 ლარით ოთხი თვის განმავლობაში; ბუნებრივი აირის შეყვანა ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000; განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ 100-500 (ასი-ხუთასი) ლარის ფარგლებში.
- **სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა:** პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობას პროექტებში, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ დებულების შესაბამისად (თითო პროექტზე არაუმეტეს 5000 ლარისა) საანგარიშო პერიოდში **5** პროექტის (**222 ბენეფიციარი)** თანადაფინანსებისთვის გაიხარჯა 22 700(ოცდაშვიდი ათასი) ლარი.

- **პროგრამა ,,სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“ – 29 ბენეფიციარი -** საცხოვრისში ჩასახლებული 14 ოჯახისთვის კომუნალური ხარჯების ასანაზღაურებლად გაიხარჯა 29 900 (ოცდაცხრაათას ცხრაას) ლარი. კომუნალური გადასახადების თანადაფინანსება 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ასევე საცხოვრისის ბაზაზე ხანდაზმულთა (**25 ბენფიციარი)** დღის ცენტრის ფუნქციონირების ფინანსური მხარდაჭერა.
- **უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა:** გაიხარჯა 460 300 (ოთხასსამოცი ათას სამასი) ლარი - დასრულდა 2022 წლის 19 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და 20 ,,ერთი თბილი ოთახის“ მოწყობა. გამოცხადებულია ტენდერი 7 საცხოვრებელი სახლის მშენებლბასა და 10 ,,ერთი თბილი ოთახის“ მოწყობაზე.

ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით ისარგებლა **4 508** მოქალაქემ, რომელთაც საერთო ჯამში დაუფინანსდათ **1 807 180.52** (ერთი მილიონ რვაას შვიდი ათას ას ოთხმოცი ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურება.

დაფინანსებული მომსახურებები ქვეპროგრამების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- **ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია) თანადაფინანსება გაეწია 1 415** მოქალაქეს (**384 434.05** (სამას ოთხმოცდაოთხი ათას ოთხას ოცდათოთხმეტი ლარი და ხუთი თეთრი) ლარი).

- **სტაციონარული სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსება/ დაფინანსება გაეწია 293** მოქალაქეს (**196 944.49** (ას ოთხმოცდათექვსმეტი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი ლარი და ორმოცდაცხრა თეთრი) ლარი).

- **აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში** ჩართულია **150** ბავშვი (**657 720.00** (ექვსას ორმოცდაჩვიდმეტი ათას შვიდას ოცი) ლარი).

- **სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე 391** ბავშვს გაეწია სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება (**152 920.00** (ას ორმოცდათორმეტი ათას ცხრაას ოცი) ლარი).

- **იშვიათი დაავადებების (ცელიაკია /ფენილკეტონურია/მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრონველყოფის ქვეპროგრამით** ისარგებლა **11-მა** მოქალაქემ (თითოეულზე ყოველთვიურად: მუკოვისციდოზი-500 ლარი; ფენილკეტონურია-500 ლარი; ცელიაკია -250 ლარი)-ჯამში ქვეპროგრამაზე გაიხარჯა **29 736.37** (ოცდაცხრა ათას შვიდას ოცდათექვსმეტი ლარი და ოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარი).

- **ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება - 1 092** მოქალაქე (**207 313.62** (ორას შვიდი ათას სამას ცამეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარი).

- **პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** (ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარი) ისარგებლა **18-მა** მოქალაქემ (**19 577.99** (ცხრამეტი ათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტი ლარი და ოთხმოცდაცხრამეტი თეთრი) ლარი).

- **განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებებით,** (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსებაზე ისარგებლა **13-მა** მოქალაქემ (**2 600.00** (ორი ათას ექვსასი) ლარი).

- **18 წელს ზემოთ შშმ პირების სარეაბილიტაციო მკურნალობაზე,** ისარგებლა **6**-მა მოქალაქემ (**2 920.00** (ორი ათას ცხრაას ოცი) ლარი).

- **პოზიტრონულ-ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფიაზე,** თანადაფინანსება გაეწია **49** მოქალაქეს (**45 100.00** (ორმოცდახუთი ათას ასი) ლარი).

- **0-18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა** - (მაქსიმალური ლიმიტი 600 (ექვსასი) ლარი) - ისარგებლა **2-მა** მოაქალაქემ - **1 200.00** (ერთი ათას ორასი) ლარი).

- **ძვირადღირებული თერაპიის საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა** - ისარგებლა **399-მა** მოქალაქემ (თითოეულს ერთჯერადად 200 (ორასი) ლარი) – **79 800.00** (სამოცდაცხრამეტი ათას რვაასი) ლარი).

- **ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაში ჩაერთო 669** მოქალაქე (**26 914.00** (ოცდაექვსი ათას ცხრაას თოთხმეტი) ლარი).

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების მიზნით, შუამდგომლობა გაეწია - **393** მოქალაქეს.

სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

2020 წლის 1 სექტემბრიდან მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურში ფუნქციონირებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, ხოლო 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ამ მიმართულების მუნიციპალური პროგრამები, რომლითაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ისარგებლა 293-მა არასრულწლოვანმა. 2023 წლის იანვრიდან დამატებით ამოქმედდა ინგლისური ენის შემსწავლელი წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა. დაფინანსება გადანაწილდა შემდეგნაირად:

სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა:

ისარგებლა 55 ბენეფიციარმა (24 ოჯახი)- გახარჯულია 26 700 (ოცდაექვსი ათას შვიდასი) ლარი. 2022 წლის სექტემბრიდან თით. ბავშვზე გათვალისწინებული თანხის ოდენობა 30-დან 50 ლარამდე გაიზარდა.

ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა:

ქვეპროგრამის ფარგლებში აღინიშნა დაუნის სინდრომის (21 მარტი), აუტიზმის ცნობადობის ამაღლების (2 აპრილი), ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე (1 ივნისი), რისთვისაც გახარჯულია სულ - 3 200 (სამი ათას ორასი) ლარი.

სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა:

- აქვა-თერაპიის მომსახურებით ისარგებლა 8 ბავშვმა, რაზეც გახარჯულია 11 700 (თერთმეტი ათას შვიდასი) ლარი.
- ინგლისური ენის შემსწავლელი წრეების დაფინანსებისთვის 25 ბავშვის მომსახურებაზე გაიხარჯა 12 900 (თორმეტი ათას ცხრაასი) ლარი.

განყოფილება აქტიურად მუშაობს მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 104 ვიზიტი, რომლის შედეგადაც სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახები ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამებში, ამასთან, მათი ნაწილი გადამისამართებულ იქნა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში მათთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად.

გარდა ამისა, განყოფილება აქტიურად არის ჩართული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების პროცესში, ასევე, განყოფილება აქტიურად მუშაობს ოჯახების გაძლიერების საკითხებზე. 2023 წლის იანვრიდან დაიწყო საინფორმაციო კამპანია ,,ფოკუსირდი შესაძლებლობებზე“. საანგარიშო პერიოდში, შეხვედრები გაიმართა გამყოფი ხაზის მიმდებარე 6 ადმინისტრაციული ერთეულის საბავშვო ბაღებში, ხოლო ყოველი თვის ბოლო პარასკევს, ,,ქალთა ოთახის“ სივრცეში ჩატარდა შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა სპეციალისტის (პედიატრი, ფსიქოლოგი და სხვა) და ბავშვიან ოჯახებთან შემხებლობაში მყოფი სტრუქტურების/ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით. საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია ,,მშობლის საათი“-ს 2 შეხვედრა.

განყოფილების მიერ მ/წლის აპრილ-მაისში განხორციელდა 6 სესიისგან შემდგარი საგანმანათლებლო ტრენინგი მშობლებისთვის თემაზე: ,,პოზიტიური მშობლობა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამებით მოსარგებლე 6-მა მშობელმა (დედები). ტრენინგი მიზნად ისახავდა ინფორმირებულობის დონის ამაღლებას მშობლობისა და ბავშვის საჭიროებების ძირითად საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ტრენინგების ციკლი გაგრძელდება ოქტომბერ-ნოემბერში.

- **ა(ა)იპ ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“**

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა შედგენილი გეგმებისა და წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად შეასრულა შემდეგი სამუშაოები პროგრამების და მიმართულებების მიხედვით:

ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დზეი) დარეგისტრირებული იქნა ინფექციური დაავადებების 5227 შემთხვევა. ტუბერკულოზზე საეჭვო 1362 შემთხვევა, რომელთა შორის აქტიური ტუბერკულოზი მგბ(+) დაუდასტურდა 23-ს, მგბ(–)125 მათ შორის რეზისტენტული ტუბრკულოზის (RR/MDR) დაუდგინდა 8 პაციენტს, ინფექციის კერებში 105 კონტაქტირებულ პირს ჩაუტარდა სკრინინგული კვლევა, დამყარდა მეთვალყურეობა აქტიური ტუბერკულოზის გამოვლენის მიზნით. ტუბერკულოზით დაავადებული „შეწყვეტილი მკურნალობის ან ცუდი დამყოლობის“ მქონე ბენეფიციალი არ დაფიქსირებულა. მართვადი ინფექციებიდან რეგისტრირებულია ყივანახველას 94 შემთხვევა, აღებული იქნა სისხლი ლაბორატორიული

დიაგნოსტირებისათვის 86 შემთხვევიდან ყივანახველა დაუდასტურდა 84-ს, 2 უკუგდებულ იქნა, 8 სავარაუდო შემთხვევა გამოვლენილ კერებში ჩატარდა ეპიდკვლევა იმუნიზაციის სტატუსის დადგენის მიზნით, შეივსო ეპიდკვლევის ბარათი,გადაეცა დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს და შეტანილ იქნა დაავადების ელექტრონულ ინტეგრირებულ სისიტემაში. ზუგდიდის 27 სამედიცინო დაწესებულებასა და სოფლის 29 ამბულატორიაში ჩატარდა 41 გეგმიური მონიტორინგი ეპიდზედამხედველობაზე, შეივსო შესაბამისი ფორმები. დაწესებულების ნაწილს მიეცა შენიშვნები ინფექციური დაავადებების აღრიცხვინობის არასწორი წარმოების გამო, მიეცათ შესაბამისი ვადები ხარვეზების აღმოსაფხვრელად, გადამოწმების შემდეგ ხარვეზები აღმოფხვრილი იქნა.

ანტირაბიული ღონისძიებების განხორციელებაში ზუგდიდიში მონაწილეობს 5 სამედიცინო დაწესებულება. „სს“ სამედიცინო კორპორაცია ევექსის ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი“, სს. სამედიცინო კორპორაცის ზუგდიდის ამბულატორია,“ შპს კლინიკა ‘’ნლი’’, შპს რუხის რესპუბლიკური საავადმყოფო, შპს იუნიქი, კლინიკებიდან საანგარიშგებო პერიოდში შემოსულია ცხოველის მიერ დაკბენილ–დადორბლილის შემთხვევის 2 894 შეტყობინება, აქედან აფხაზეთში მცხოვრები 18 პირი, სხვა რაიონის მცხოვრები პირი 492 რომლებზეც შეტყობინება გადაეცა შესაბამისი რაიონების საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცეტრებს. ანტირაბიული მკურნალობა დაენიშნა 2770 პირს, ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 719 პირს, პირობითი 1845 პირს. შეწყვიტა მკურნალობა 216–მა პირმა, რომლებზეც დამყარდა აქტიური ზედამხედბველობა შესაბამისი ღონისძიებების გატარებით.წლის განმავლობაში ზუგდიდიში მცხოვრებ 39 დაზარალებულ პირს კერაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლებიც ექვემდებარებოდა ვაქცინაციის სრული კურსის ჩატარებას ექსპოზირებული ცხოველის დაცემის და დაკარგვის გამო, სხვადასხვა მიზეზებით შეწყვიტეს მკურნალობა, ჩატარდა ეპიდკვლევა, კვლევა მოიცავდა დაზარალებულ პირებზე მეთოდური რეკომენდაციის გაცემას, დაავადების შესახებ ახსნა–განმარტებითი სამუშაოების წარმოებას. მიუხედავად მრავალჯერადი გაფრთხილებისა 6 მათგანმა მაინც უარი განაცხადა ვაქცინაციის გაგრძელებაზე, რომელსაც ჩამოერთვა ხელწერილი. ცენტრის მიერ კვირაში ორჯერ ხორციელდებოდა ხუთივე ანტირაბიული კაბინეტის მონიტორინგი მკურნალობა შეწყვეტილ პაციენტებზე ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით. ხდება ინფორმაციცის მოძიება დაზარალებული პირების ვაქცინაციის ჩატარების ხარისხისა და შეწყვეტილი მკურნალობის შესახებ, რის შემდეგ ისახება ღონისძიებები მათ მეთვალყურეობაზე.

სურსათის უვნებლობის ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო–ზემო სვანეთის რეგიონალურ ფილიალში გადაცემულია 2025 შეტყობინება ცხოველებზე 10 დღიანი მეთვალყურეობის დამყარების მიზნით, საიდანაც აღნიშნულ პერიოდში მიღებული იქნა სრული ინფორმაცია ცხოველების მგდგომარეობისა და მეთვალყურეობის დასრულების შესახებ. ანტირაბიულ მომსახურეობაზე, ასევე ანტირაბიული ვაქცინის და იმუნოგლობულინის ხარჯვაზე ყოველთვიური ანგარიში სტანდარტული ფორმების მიხედვით მიეწოდება დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს.

ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 12257 აცრა. მ.შ გეგმიური11116 : ბცჟ ვაქცინაცია ჩაუტარდა 662 ახალშობილს; ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო 652-ს, იმუნიზაცია ჰექსაქციმით (6 ვალენტიანი ვაქცინა) ჩატარდა 1960 აცრა, ტეტრაქსიმით(18 თვ;5 წლის ასაკში)- 1753, წითელა-წითურა-ყბაყურის საწ. 1, 2 დოზით აიცრა 1005 ბავშვი, როტა 1, 2 დოზით- 1071,

პნევმოკოკით 1930, აპვ ვაქცინით-1377, ტდ ვაქცინით-706 აცრა და არაგეგმიური 394 აცრა(აპვ გოგონები 13-45 წ-322 აცრა, აპვ ბიჭები 13-26 წ- 72აცრა,პნევმოკოკი 60 წლ >329აცრა), ბ - ჰეპატიტი 418(სამედიცინო პერსონალი და C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პირები)

ცენტრის მიერ 29 საექიმო ამბულატრიიდან და 3 სამედიცინო დაწესებულებიდან ყოველთვიურად ხორციელდება იმუნიზაციის პროგრამით შესრულებული სამუშაოების ანგარიშგება სტანდარტული ფორმით, ფორმების მიღება-კორექტირება და ინფორმაციის დამუშავება იმუნიზაციის მონაცემთა კომპიუტერულ პროგრამაში GEOVAK-R- ში, სადაც ხდება ინფორმაციის აგრეგირება და ანალიზისათვის ინფორმაციის მიღება, ასევე ცენტრი აქტიურ დახმარებას უწევს პროვაიდერებს იმუნიზაციის ელექტრონულ მოდულში მუშაობასა და ანგარიშგებაში.

ჰოსპიტალიზებულ პაციენტთა რაოდენობამ შეადგინა 7 890, მათ შორის რესპირატორული ინფექციის გართულებით 1 640. ასევე, ხორციელდება 29 საექიმო ამბულატორიიდან და 18 სამედიცინო დაწესებულებიდან ყოველკვირეული ინფორმაციის მიღება ამბულატორიული მომართვიანობის შესახებ, მათ შორის გრიპის და გრიპისმაგვარი დაავადებების შესახებ. ამბულატორიული მომსახურეობა გაეწია 73 569, გრიპისმაგვარი დაავადებით გამოვლენილი იყო 3 980 ფშემთხვევაში.

ქალაქის 18, რაიონის 45 და 13 კერძო ბავშვთა დაწესებულებაში ჩატარდა 183 მონიტორინგი, მათ შორის 29 კერძო სკოლამდელ დაწესებულებაში, რომელიც ტარდებოდა ცენტრის მიერ შემუშავებული გეგმა- გრაფიკით. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებოდა სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრს. ასევე ხდებოდა რეკომენდაციების გაცემა და მათი გადამოწმება.

პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიულად კვლევა ჩაუტარდა ქალაქისა და სოფლის ბაღების 1031 აღსაზრდელს, მათ შორის ინვაზირებული აღმოჩნდა 67 აღსაზრდელი რაც შეადგენს გამოკვლეულთა 6%-ს. კვლევის შედეგების გადაცემა წარმოებს როგორც ბაღის ადმინისტრაციისთვის, ასევე სოფლის ამბულატორიის პერსონალისთვის მკურნალობის და პროფილაქტიკის მიზნით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში პრევენციული ღონისძიებები გატარდა ანაკლია, განმუხური ადმინისტრაციული ერთეულებში კარდაკარის პრინციპით და ქალაქის ტერიტორიაზე ენტომოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით, ღონისძიება განხორციელდა 2 ეტაპად, სულ ჩატარდა 1 160 000 კვმ ფართობის საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების დეზინსექცია.

პირველადი შერჩევითი შემოწმება-მონიტორინგი ჩაუტარდა 168 ინდ.მეწარმე ბიზნეს-ოპერატორს. მათ შორის, 131 სტილისტს, 29 მანიკურ-პედიკურის სპეციალისტს, 6 კოსმეტოლოგს და 2 ტატუს ოსტატს.თითოეული ინდ.მეწარმე რეგისტრირებულია ეკონომიკის და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ეროვნული კლასიფიკატორის შესაბამისად და მინიჭებული აქვს საქმიანობის კოდი. შემოწმებული 168 ბიზნეს-ოპერატორიდან, რეგულაციის მოთხოვნები სრულად არის დაცული 102 შემთხვევაში, არ არის სრულად დაცული 64 ბიზნეს ოპერატორთან, რომელთაც მიეცათ გონივრული ვადა

დარღვევების გამოსასწორებლად.მეორადი შემოწმებით მდგომარეობა გამოსწორებულია 47 შემთხვევაში,დარჩენილი 17 ექვემდებარება მეორად გადამოწმებას.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების შეზღუდული როლი C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის ადრეულ გამოვლენასა და პრევენციაში, ეს აფერხებს ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობას, დროულად გამოავლინოს ის პირები, რომელთა მიმართვა საჭიროა დიაგნოსტირებისა და მკურნალობის სერვისებისკენ.

თამბაქოს კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ჩართულია თამბაქოს კონტროლის მონიტორინგის საკითხში. ცენტრის მიერ განხორციელდა 583 მოწევის აკრძალვის მონიტორინგი შემდეგი ტიპის დაწესებულებებში: სასწავლო-33; სამედიცინო 55 , სახელმწიფო 28,სტადიონი 17, კაფე/ბარი/რესტორანი 67,კინო/თეატრი 18, სილამაზის სალონი 34; მედია ორგანიზაცია 4; სასტუმრო 33; სავაჭრო ობიეტი 200; ტრანსპორტი 93; მაღაზიის გარე რეკლამირება 1.მონიტორინგი ხორციელდება დამტკიცებული კითხვარის და მეთოდოლოგიის შესაბამისად და შედეგები პერმანენტუდად იტვირთება შესაბამის ელ. გვერდებზე.

საზედამხედველო ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 44 სტომატოლოგიურ კაბინეტში განხორციელდა 55 მონიტორინგი. აღნიშნულ კაბინეტებში დასაქმებულია 65 სტომატოლოგი, 52 ექიმი თერაპევტი, მათ შორის 17 ეწევა ქირურგიულ საქმიანობას, 6 ორთოდონტი, 5 ორთოპედი, 21 ექიმის ასისტენტი. მონიტორინგის შედეგების ანალიზით და გასატარებელი ღონისძიებების მოცულობის შესაბამისად სტომატოლოგებს ეძლევათ გონივრული ვადა დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აქტიურ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო დღეების აღნიშვნაში. იქმნება და იბეჭდება საინფორმაციო ბუკლეტები, რომლებიც ვრცელდება საზოგადოების თავშეყრის ადგილებსა თუ სხვადასხავა დაწესებულებებში. ასევე ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებებში გაერთიანება და წვლილის შეტანა მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს მიერ 01.10.2023-01.10.2024 პერიოდში მუნიციპალური ბიუჯეტით სულ შესრულდა **509539.83** (ხუთას ცხრა ათას ხუთას სამოცდაშვიდი ლარი და ოთხმოცდახუთი თეთრი) ლარის სამუშაოები.

❖ ზედამხედველობის სამსახური

საორგანიზაციო განყოფილება

საანგარიშო პერიოდისათვის მერიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებებზე შედგა ინფორმაციული ელექტრონული ბაზა, სადაც რეგისტრირებული ხელშეკრულებების რაოდენობაა 184 (ასოთხმოცდაოთხი). აქედან: დასრულებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 82 (ოთხმოცდაორი).

განხილულ იქნა და მომზადდა აღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ სამუშაოებთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაცია და გადაეგზავნა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს; მათ შორის საბანკო გარანტიის საფუძველზე მოთხოვნილი თანხების წინასწარი ანაზღაურების მიზნით საჭირო დოკუმენტაცია;

აყვანილ იქნა კონტროლზე აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად განკუთვნილი ვადები. ვადაგადაცილებით შესრულებულ სამუშაოებზე შედგა სათანადო დოკუმენტაცია და მასალა გადაეგზავნა იურიდიულ განყოფილებას სათანადო რეაგირებისათვის (მათ შორის შესაწყვეტ ხელშეკრულებებზე; აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის), რის შემდეგაც განხორციელდა საჭირო პროცედურები. ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა 78929,14 (სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ოცდაცხრა და 14 თეთრი) ლარი;

აყვანილ იქნა კონტროლზე ყველა ხელშეკრულების მოქმედების ვადები. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში, ვადის გაგრძელებაზე ეცნობა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს;

განხილულ იქნა და მომზადდა სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, ფაქტიური გარემოებებიდან გამომდინარე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში და ხელშეკრულებებში საჭირო ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციები;

აღნიშნული პერიოდისათვის საორგანიზაციო განყოფილებაში ყველა შემოსულ კორესპონდენციას გაეცა დროული და სათანადო პასუხი;

მიეწოდა ინფორმაცია მერიის სხვადასხვა სამსახურებს (მათი საჭიროების მიხედვით), ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია; აგრეთვე დაფინანსების წყაროების მიხედვით დარჩენილი ნაშთის (სახელშეკრულებო ღირებულებასა და ფაქტიურ ღირებულებას შორის სხვაობა) შესახებ.

სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება

აღნიშნულ პერიოდში სამშენებლო ინსპექტირების განყოფილების მიერ ინსპექტირებული ობიექტების რაოდენობაა სულ 184 (ასოთხმოცდაოთხი). აქედან დასრულებულია 82 (სამოცდაცხრა), მიმდინარე - 102 (ორმოცდაორი) და შედგა ინსპექტირების ჯგუფის აქტები (შუალედური/საბოლოო).

სამუშაოებზე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების კონტროლის შედეგად დაფიქსირებული ვადების დარღვევისათვის და აგრეთვე, საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შედგა სათანადო დოკუმენტაცია, რომელიც გადაეგზავნა მერიის შესაბამის სამსახურებს და

შემდეგად ჯამში საჯარიმო თანხამ შეადგინა 78929,14 (სამოცდათვრამეტი ათას ცხრაას ოცდაცხრა და 14 თეთრი) ლარი;

განხილულ იქნა ხელშეკრულებებში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებული საკითხები, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, აუცილებლობიდან გამომდინარე;
საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ექსპლუატაციის პერიოდში (საგარანტიო პერიოდი), ობიექტების მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ჩატარდა საჭირო პროცედურები;
მიეწოდა ინფორმაცია მერიის სამსახურებს, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ობიექტებზე სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (მათ შორის შუალედურად შესრულებული სამუშაოების მოცულობის პროცენტული მაჩვენებელი);

მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში ყველა მშენებლობადამთავრებული ობიექტი, რომელთა რაოდენობა აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენს 50-ზე მეტს;
განყოფილებაში შემოსულ ყველა კორესპონდენციას გაეცა სათანადო პასუხი.

რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება

აღნიშნული პერიოდისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებამ სულ გამოავლინა 5 (ხუთი) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რაზეც შედგა შესაბამისი ოქმი. კერძოდ:
3 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55_2 მუხლით, 55_6 მუხლის მე -2 ნაწილით და 150 მუხლის მე-2_1 ნაწილით და 2 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ოქმი ქვითარი 55_2 მუხლით და 150_1 მუხლის მე-3 ნაწილით.
ასევე განყოფილების მერ გამოვლენილია უნებართვო მშენებლობების 13 შემთხვევა, და სანებართვო პირობების დარღვევის 9 შემთხვევა.
სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით მიღებული დადგენილებით გადახდილი თანხა შეადგენს:
უნებართვო მშენებლობა/დემონტაჟზე -17 000 ლარს,
სანებართვო პირობების დარღვევაზე -27 000 ლარს

სამშენებლო სანქციებიდან სულ ჯამში შეადგენს - 44 000 (ორმოცდაოთხი ათას) ლარს.
ყველა სანქციებიდან შემოსული ჯამური თანხა შეადგენს - 74 400 (სამოცდათი ათას ოთხასი) ლარს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა, და ინ/მ ლერი ჩხარტიშვილთან გაფორმებულ ხელშეკრულებების საფუძველზე გაყვანილ იქნა ცხოველთა თავშესაფარში 173 (ას სამოცდაცამეტი) მიუსაფარი და უპატრონო ძაღლი მათი შემდგომი კასტრაცია, ვაქცინაცია, სტერილიზაცია, დაბირკვის და შემდეგ თავისუფალ არეალში დაბრუნების მიზნით.
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონადირეებთან ხელშეკრულების საფუძველზე გარემოდან ჩასაფრების წესით ამოღებულია მგლის 3 და ტურის 15 ინდივიდი.
ავარიულ და გამხმარ მდგომარეობაში მყოფი ხეებისგან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების კომისიამ განიხილა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები, რომლებსაც გაეცა სათანადო პასუხი.

2023 წლის 01 ნოემბრიდან 2024 წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილებაში შემოსულ კორესპონდენციებს გაეცა სათანადო პასუხი.

❖ ადმინისტრაციული სამსახური

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად კვლავაც გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა რჩება. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტი არაერთ მნიშვნელოვან პროექტს ახორციელებს.

საანგარიშო პერიოდში მერიის ადმინისტრაციული სამსახურის **საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილების** მიერ სხვადასხვა აქტივობები განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობას, როგორც მიმდინარე და განხორციელებულ პროექტებზე, ასევე, იმ მუნიციპალურ სერვისებზე, რომლითაც შეუძლიათ მოქალაქეებს ისარგებლონ. მერიის აქტივობები ქვეყნდება, სააგენტოებზე და შუქდება ტელევიზიით. განყოფილების საქმიანობა ნათლად და მკაფიოდაა განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა-პრიორიტეტების მიხედვით.

ამ დროისთვის გვყავს 28 000 გამომწერი.

მომზადდა 180-ზე მეტი ვიდეო, მათ შორის სატელევიზიო.

ეს მონაცემები ყოველწლიურად მზარდია.

ოფიციალურ ფბ გვერდზე დაახლოებით 500-ზე მეტი ახალი ინფორმაცია განთავსდა, რომელიც მოიცავდა მუნიციპალურ სერვისებს, მიმდინარე პროექტებს და კულტურულ ღონისძიებებს.

მუდმივად ვაშუქებთ მერიის დაქვემდებარებაში მყოფ „ააიპ“-ებისა და „შპს“-ების მუშაობის შესახებ ინფორმაციას.

მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია /City Hall of Zugdidi Municipality თავისი აქტივობებით, როგორც სიახლეების განთავსების თვალსაზრისით ასევე, მოქალაქეთა ჩართულობით და მათ კითხვებზე ოპერატიული რეაგირებით მოწინავე პოზიციაზეა google analytics მონაცემებით.

2023 წლის გამოწვევა იყო მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი. 2024 წელს შეიქმნა ახალი ვებ-გვერდი, რომელიც სატესტო რეჟიმშია www.zugdidi.gov.ge

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის განყოფილება ორგანიზებას უწევდა ელჩებთან შეხვედრებს, საზღვარგარეთიდან დელეგაციების ვიზიტების პროგრამების შედგენას, ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული ოფიციალური მიღებების გამართვას. ჯამში 20-მდე შეხვედრა გაიმართა.

განყოფილებამ ასევე უზრუნველყო „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, განსახორციელებელი პრიორიტეტული პროექტების გამოსავლენად დასახლების საერთო კრებისა და მოსახლეობასთან კონსულტაციების საჯაროობა.

საინფორმაციო კამპანიის სტრატეგიაში გრძელდება ფეისბუქ reels ვიდეოების მომზადება. მოცემულ პლატფორმაზე მზადდება ვიდეოები მათ შორის, საგანმანათლებლო, სპორტული, კულტურული მიმართულებები.

საინფორმაციო კამპანიის ნაწილში აქტიურად იქნება გამოყენებული პოსტ-ბანერები, რომლებიც მუნიციპალიტეტში მიმდინარე სერვისებზე, მომსახურებაზე და პროგრამებზე მოკლე და აუცილებელ ინფორმაციას მოიცავს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში **საანგარიშო პერიოდში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობამ შეადგინა**-19 437;

გასული კორესპონდენციის რაოდენობამ-11 076;

ადმინისტრაციული ხელშეკრულების-654;

შრომითი ხელშეკრულების-6, მათში შესული ცვლილებების-29;

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებების-251, მათში შესული ცვლილებების-16;

მემორანდუმის-3, მათში შესული ცვლილებების-1;

ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილებამ უზრუნველყო სხვადასხვა სახის ინფორმაციის მომზადება და გადაგზავნა უწყებებსა და ორგანიზაციებში. მათ მიერ საანგარიშო პერიოდში მომზადდა

პასუხი 89 წერილზე, რომელიც ეხებოდა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნას, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინფორმაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში გაცემას.

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ განხორციელდა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით ჩასატარებელი დასახლების საერთო კრებების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების, პროცედურული საკითხების ორგანიზება.

განყოფილება სისტემატურად აკონტროლებს დამეწყრილი ოჯახების მდგომარეობას და პერიოდულად ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტოდან გეოლოგთა ჯგუფის გამოძახებას დაზიანებული სახლების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. საანგარიშო წელს, შემოწმდა 67 ოჯახი, აქედან 67-ვეს მიენიჭა შესაბამისი კატეგორია, მათ შორის 12 ოჯახს პირველი კატეგორია, ამ ეტაპზე ველოდებით გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებს, რათა შემოწმდეს 19 დაზარალებული ოჯახი.

განყოფილების თანამშრომლები კოორდინაციას უწევენ ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობას.

განყოფილება, სხვა სამსახურებთან ერთად აქტიურად არის ჩართული საარჩევნო უბნების მოწესრიგების პროცედურულ საკითხებში.

როგორც ყველა სტრუქტურასა და ორგანიზაციაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაშიც ორგანიზაციის მთავარი დასაყრდენი ძალა მასში დასაქმებული თანამშრომლებია. ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ან ჯგუფურად მუშაობენ ორგანიზაციის წინაშე არსებული ამოცანების გადასაწყვეტად. შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის კრიტიკულად

მნიშვნელოვანია თითოეული თანამშრომლის და მისი მისწრაფების დაკავშირება კორპორატიულ ინტერესებთან.

ადამიანური რესურსების მართვის ციკლის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია ხელმძღვანელობს პრინციპებით, რომლებიც დამსახურებაზე, სამართლიანობასა და თანასწორობაზეა დაფუძნებული. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია იყენებს გამჭვირვალე, ღია და საჯარო მიდგომებს თითოეულ გამოცხადებულ კონკურსზე. ჩვენს მიერ განხორციელებული პროცედურები/რეგულაციები ღიად არის გაწერილი და მათი შესრულების მონიტორინგი შეუძლია შესაბამისი უფლების მქონე ნებისმიერ პირს.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია გულისხმობს ორგანიზაციაში პროფესიონალი კადრების მოზიდვას, არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და გადამზადებას. უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული გადამზადების პროგრამით წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი პროფესიული საჯარო მოხელე იღებს მონაწილეობას, რაც თავისთავად გულისხმობს მეტ კვალიფიციურ კადრს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში. მნიშვნელოვანია, სტაჟირების პროგრამა და სტაჟიორთა დასაქმება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში, კერძოდ 2024 წლის 2 აგვისტოდან 8 აგვისტოს ჩათვლით საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების შესაბამისად გამოცხადდა კონკურსი ანაზღაურებადი სტაჟირების 8 (რვა) ვაკანტურ პოზიციაზე. კონკურსის შედეგად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში სტაჟიორის პოზიციაზე დასაქმდა სამი კონკურსანტი.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ 2024 წლის 8 იანვრიდან - 14 თებერვლამდე შემუშავებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად ატვირთულ იქნა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე ehrms.ge -ზე.

საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები გაიარა 176 (ას სამოცდათექვსმეტი) მოხელემ მათ შორის სასწავლო გეგმით დამტკიცებული საბაზისო ტრენინგ კურსი ,,პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება“ ტრენინგი გაიარა 4-მა მოხელემ; ,,მოხელის მენეჯერული უნარები“ - გაიარა 2-მა მოხელემ; სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საბაზისო ტრენინგები სრულად იქნა შესრულებული.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებითი ტრენინგები: ,,საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) მოთხოვნების შესაბამისად“ - გაიარა 1 -მა მოხელემ; ტრენინგკურსის ,,ფინანსური თაღლითობა და კორუფცია - პრევენცია, გამოვლენა და კონტროლი, მომსახურების გაწევა” გაიარა 4 - მა მოხელემ; ამასთან ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ტრენინგ-ცენტრებთან, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორთან და მათი მხარდაჭერით სისტემატურად ტარდებოდა სხვადასხვა

მიმართულების ტრენინგები, კერძოდ საჯარო სამსახურის ბიუროს მხარდაჭერით „ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში“ ; ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ დაგეგმილ სწავლება ტრენინგი თემაზე:,,ქონების მართვა”; ამავე ორგანიზაციის მხარდაჭერით ტრენინგი ,,შესყიდვები“; ,,ბუღალტერია“; „2024-2027 წლების პრიორიტეტების განსაზღვრა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადება“ და „ბუღალტერია - ფინანსური ანგარიშგება“ ; საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) - ს მხარდაჭერით „ლიდერობა და მართვა ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით“ ; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის („ათეა“) და გაეროს ბავშვთა ფონდის ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი: „საქართველოს მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ბავშვზე და ბავშვიან ოჯახებზე მორგებულ სოციალურ პროგრამირებაში“; საჯარო სამსახურის ბიუროს, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) - მხარდაჭერით ჩატრადა ტრენინგი: „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საჯარო სამსახურში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე“ ; ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ტრენინგი გაიარა 3 -მა მოხელემ და ა.შ.

საანგარიშო პერიოდში მერიაში ვაკანტური პოზიციების დასაკავებლად ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ორგანიზებით ჩატარდა კონკურსი 22 (ოცდაორ) ვაკანტურ პოზიციაზე, აქედან 7 ღია კონკურსის წესით, 6 შიდა კონკურსის წესით, 1 დახურული კონკურსი და 8 პოზიციაზე სტაჟირების კონკურსი ჯამში 22 ვაკანტურ პოზიციაზე შემოვიდა 133 (ასოცდაცამეტი) განაცხადი. აპლიკანტებიდან 20 ვაკანტურ პოზიციაზე გამოვლინდა გამარჯვებული.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა 2024 წლის 01 აპრილიდან 2024 წლის 22 ივლისის ჩათვლით გაიარეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკა 108 (ასრვა) საათის ოდენობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში (კერძოდ: ადმინისტრაციული სამსახური; საფინანსო–საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური; ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური; ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური; განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; სოციალური და ჯანდაცვის სამსახური; ზედამხედველობის სამსახური; შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებსა და შპს-ებში (კერძოდ: ა(ა)ი.პ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“; ა(ა)ი.პ „კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“; ა(ა)ი.პ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“; ა(ა)ი.პ “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“; ა(ა)ი.პ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე–ახალგაზრდობის სასახლე“; ა(ა)ი.პ „ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი“; ა(ა)ი.პ „ბიბლიოთეკების მართვის

ცენტრი“; „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“; შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ და სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO)).

საანგარიშო პერიოდში შეფასებას დაექვემდებარა 195 (ას ოთხმოცდათხუთმეტი) პროფესიული საჯარო მოხელე. დადგენილი გრაფიკის შესაბამისად უშუალო ხელმძღვანელებთან გასაუბრების ფორმით ჩატარდა საბოლოო შეფასება. ასევე გამოსაცდელი ვადით მიღებულ თანამშრომლებზე გაკეთდა დანიშვნიდან კვარტალური შეფასებები. თითოეული თანამშრომელი ელექტრონულად გაეცნო შეფასების საბოლოო შედეგს.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად არის დამუშავებული ყველა შემოსული კორესპონდენცია, განყოფილებაში დამუშავდა, მზადდებოდა პროექტები და გამოიცემოდა სხვადასხვა სამართლებრივი აქტები.

ადმინისტრაციული სამსახურის **იურიდიული განყოფილება** უზრუნველყოფს მერიაში შემუშავებული სამართლებრივი აქტების, პროექტების, ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების და სხვა დოკუმენტების სამართლებრივი გამართულობას, მათი შესაბამისობის კონტროლს მოქმედ კანონმდებლობასთან, მუნიციპალიტეტის ნორმატიულ და სამართლებრივ აქტებთან; განყოფილება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის კანონიერი ინტერესების დაცვას სამართლებრივ ურთიერთობებში სასამართლოებში, სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან.

იურიდიული განყოფილების თანამშრომლები, მერიის სამსახურებისთვის მიმაგრებულები არიან დარგობრივად, უწევენ კონსულტაციას და ჩართულები არიან მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა კომისიებში, საბჭოებსა და სამუშაო ჯგუფებში.

იურიდიული განყოფილება კონსულტაციას უწევს მერიის დაქვემდებარებაში შემავალ ყველა შპს-სა და ა(ა)იპ-ის, სტრუქტურულ ერთეულებს, საჯარო მოსამსახურეებს და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს. სისტემატიურად ეხმარება მოქალაქეებს ისეთი ტიპის საკითხებში, როგორიცაა: ქონებრივი დავა, განქორწინება, კერძო საკუთრების დარეგისტრირება, პირადი საბუთების მოწესრიგება და სხვა.

განყოფილებამ საანგარიშო პერიოდიში მონაწილეობა მიიღო მიმდინარე და დაწყებულ 22 პროცესში, ასევე, საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადდა სხვადასხვა ტიპის ბრძანებების და დადგენილებების პროექტები, მათ შორის 92 ბრძანება მეწარმეებისათვის პირგასამტეხლო თანხების დაკისრებისა და ხელშეკრულებების შეწყვეტის თაობაზე.

იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სამართლებრივ მომსახურებას. განყოფილების სპეციფიკიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩართულია ყველა სტრუქტურის ფუნქციური პრობლემების გადაჭრასა და მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 390, გასული კორესპონდენციის რაოდენობა შეადგენს 302, ვიზა დადებული დოკუმენტები 5586.

მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება მერიის გამართული მუშაობისთვის ახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს: მერიის სამსახურებს ამარაგებას ტექნიკით, საკანცელარიო ნივთებით, ასევე აგვარებს მერიის შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებს და სხვა.

შრომის უსაფრთხოების განყოფილების ინიციატვით, 2024 წელს (შიდა რესურსებით) შემოწმდა მერიის შენობის ელექტრო-გაყვანილობის სისტემა, რომელიც აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს.

ასევე განხორციელდა მერიის შენობის ყველა სართულის სამუშაო ოთახებისა და სამუშაო ადგილების შესწავლა, რათა ერთ დასაქმებულზე გამოყოფილი სამუშაო სივრცე შესაბამისობაში იყოს კანონოთ დადგენილ ნორმებთან; ასევე შემოწმდა განათების ხარისხი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმებს;

მუდმივი კონტროლი ეწევა გათბობა-გაგრილებისა ტემპერატურულ რეჟიმს შენობაში, რომელიც გამართულად ფუნქციონირებს; დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმათა მოთხოვნები;

კანონით დადგენილ ვადებში ტარდება სახანძრო, სანიტარულ-ჰიგიენური და შრომის უსაფრთხოების საკითხებზე ინსტრუქტაჟები.

❖ ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური

• ქონების მართვის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში ქონების მართვის განყოფილებაში განსახილველად შემოვიდა 2440 განცხადება და მომართვა. ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებული იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 5 ერთეული უძრავი ქონება: 1) ქ. ზუგდიდი, ტოლსტოის ქუჩაზე 285კვ.მ (უპირობო), 2) სოფელ ინგირში 9213კვ.მ (შენობა-ნაგებობით) (უპირობო), 3) ქ. ზუგდიდი, ბაშაურის ქუჩაზე 335კვ.მ (უპირობო), 4) სოფელ დარჩელში 242კვ.მ (უპირობო), 5) ქ. ზუგდიდი კ. გამსახურდიას ქუჩაზე 970კვ.მ (უპირობო), არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით) დემონტაჟის მიზნით პრივატიზებული იქნა 1 ერთეული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობა): ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში მდებარე შენობა-ნაგებობა N1 (წყლის ავზი)

ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებული იქნა ერთი ერთეული მოძრავი ქონება (ავტოსატრნსპორტო საშუალება-VOLKSVAGEN JETTA).

არაფინანსური აქტივების კლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში 01.10.2024 მდგომარეობით შემოსულია **679481** ლარი. მათ შორის მოძრავი ქონებიდან **- 5200** ლარი. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

საანგარიშო პერიოდისათვის სასყიდლიანი იჯარის ფორმით **პირდაპირი** განკარგვის წესით გაფორმდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთები, ბოძის ნაწილი- წერტილები, ბანკომატი) 7 საიჯარო ხელშეკრულება ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, რომლთა წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს **54648** ლარს. **ელექტრონული აუქციონით** გაცემულ ქონებაზე გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება (53 კვ.მ მიწის ნაკვეთზე) წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა შეადგენს **3100** ლარს. ამ მიმართულებით გრძელდება მუშაობა.

ასევე, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო აღნაგობის ფორმით 49 წლის ვადით გადაეცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ქ. ზუგდიდი, თბილისის ქუჩაზე მდებარე 1206 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შემოსავლების სამსახურის რეგიონალური სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ასაშენებლად.

სს ლიბერთი ბანკს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით 2 წლის ვადით გადაეცა მუნიციპალითეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ცაიში 15,0 კვ.მ; სოფელ ანაკლაში 20,0 კვ.მ და სოფელ ახალსოფელში (ჯუმი)-11კვ.მ არასაცხოვრებელი ფართები. სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნულ სააგენტოს 2026 წლის 01 იანვრამდე ვადით გადაეცა ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N79-ში მე-4 სართულზე არსებული 135,6 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი. პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ: აბასთუმანში, ურთაში, ცაიშში, ოდიშში და კახათში მდებარე სახლმუზეუმები. პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში ააიპ „ზუგდიდდასუფთავებას“ გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული რუსთაველის ქ. N79 მდებარე მე-2 და მე-4 სართულზე არსებული 142,95კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი და თხოვების ფორმით 4 ერთეული მოძრავი ქონება - სპეცტექნიკა (თითო ცალი სატვირთო, ნაგავმზიდი, ავტოცისტერნა და ქუჩის სარწყავი).

საანგარიშო პერიოდში ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 22 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 142461 კვ.მ მათ შორის: დამატებითი ქონების სახით 19

ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებით და ნაგებობების გარეშე საერთო ფართობით 141357 კვ.მ; საქართველოს მთავრობის განკარგულებებით ძირითადი ქონების სახით გდმოეცა 3 ერთეული (1104 კვ.მ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი რუსთაველის და მ. წყნეთელის ქუჩაზე მდებარე სკვერები 657კვ.მ და ზვ. გამსახურდიას გამზ. 447 კვ.მ. (შადრევანი).

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობით ზუგდიდის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში დარეგისტრირდა 7 ერთეული დაურეგისტრირებელი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საერთო ფართობით 1266 კვ.მ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილების შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხობრებ 11 მოქალაქეს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართები.

- **მუნიციპალური სერვისებისა და ბუნებრივი რესურსების მართვის განყოფილება**

1. **მუნიციპალური სერვისები:**

1) დამისამართების აბრები *- მიმდინარ წლის მე-2 კვარტალში გამოცხადებული ტენდერით შესყიდულ იქნა „ქუჩის დასახელებისა და მიმართულების მაჩვენებელი აბრა (2 ცალმხრივი აბრა ერთმანათთან მიერთებით) ბოძით“ :* ქალაქ ზუგდიდის ქუჩებისთვის - 108 ერთეული აბრა ბოძით; სოფლების ქუჩებისთვის - 77 ერთეული აბრა ბოძით. *განსახორციელებელი სამუშაოების ჯამური ღირებულებამ დასრულებული ტენდერით შეადგენს - 75 635 ლარის.*

აგრეთვე, მიმდინარე წლის მე-3 კვარტალში შესყიდულ იქნა ქალაქ ზუგდიდის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქუჩებში არსებული უძრავი ქონებების დამისამართების - „ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების“ დამზადება (თანმდევი მომსახურეობით _მონტაჟით შესყიდვა.) - ჯამში 533 ერთეული. განსახორციელებელი სამუშაოების ჯამური ღირებულებამ დასრულებული ტენდერით შეადგენა - 18 450 ლარის.

2) გაზიფიცირება *-* ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სრულად გაზიფიცირებულია: ქალაქი და 48 ადმინისტრაციული ერთეულიდან - 46 ადმინისტრაციული ერთეული.

2024 წელს დაწყებულია და მიმდინარეობს შპს. „სოკარ ჯორჯია გაზის“ მიერ - **ჯიხაშკარის, ყულიშკარის, ალერტკარის, ორულუს და დიდინეძის** - ადმ. ერთეულებში მოწყობილი (დასრულებული) საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენის ქსელის ექსპლუატაციაში მიღების სამუშაოები. სოკარის ზეპირი განმარტებით აღნიშნული ადმ. ერთეულის მოსახლეობის ინდივიადუალურ დაერთებები (ინდ. გამრიცხველიანება) დასრულდება მიმდინარე წლის ბოლომდე. აგრაეთვე, მიმდინარე წლის ბოლომდე დაიწყება არაგაზიფიცირებული **ცვანეს და ერგეტ**ას - ადმ. ერთეულების საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენის ქსელის მოწყობის სამუშაოები

3) *ელ. მომარაგება - ობიექტების დაერთებებზე* - მომზადდა დოკუმენტაციები და შესყიდულ იქნა მიერთების მომსახურეობები სს. „ენერგო პრო ჯორჯია“-დან მუნიციპალური პროგრამით მოწყობილ ობიექტების ელ. მომარაგებასთან (დაერთება) დაკავშირებით: ***გარე განათების 9 ობიექტები; წყალმომარაგების 3 ობიექტები (ჭაბურღილი):***

4) *წყალმომარაგება - **მწყობრიდან გამოსული*** წყალმომარაგების სისტემის აღდგენისათვის ***ელექტრონული ტენდერით შესყიდულ იქნა*** და ***დამონტაჟდა: ჭკადუაშის ადმ. ერთეულის*** *ზემო და ქვემო საანთიოს უბნების) წყამომარაგების სისტემის ელ. წყალსაქაჩი ტუმბოები;* ***ჭითაწყარის ადმ. ერთეულის*** *(ე.წ. მეფრინველეობის ფაბრიკის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალმომარეგების სიტემის ელ. წყალსაქაჩი ტუმბო;* ***ალერტკარის ადმ. ერთეულის*** *საკანკიოს უბნის წყამომარაგების სისტემის ელ. წყალსაქაჩი ტუმბო;* ***ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულის,*** სათოლორაიოს უბნის, წყალმომარაგების სისტემის აღდგენისათვის *ელ. წყალსაქაჩი ტუმბო.*

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“ - გაეწია დახმარებები (კონსულტაცია) ამხანაგობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით 19 პოტენციურ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას. დაფუძნდა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში პერველადი რეგისტრაცია გაიარა 16-მა დაფუძნებულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ. 2024 წლის ბიუჯეტის **„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით“,** განხორციელდა თანადაფინანსების პრინციპით, მერიაში რეგისტრირებული სხვადასხვა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 13 **პროექტი.**

- **საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება**

2023 წლის 20 სექტემბერს, GIZ-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში ,,მდგრადი ქალაქები საქართველოში“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი გახდა გამარჯვებული. აღნიშნული პროექტი განხორციელდება 2 წლის განმავლობაში და მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებისთვის - კლიმატზე ორიენტირებული, თანამონაწილეობითი, ფინანსირებისთვის მზა, ინტეგრირებული ურბანული განვითარების პროექტების შემუშავებას და განხორციელებას ურბანული ლაბორატორიების მეთოდოლოგიის დანერგვით;

2023 წლის 15 ნოემბერს ხელი მოეწერა მემორანდუმს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და GIZ-ს შორის. პროექტის ფარგლებში ქალაქის შერჩეული არეალისთვის შემუშავდება კლიმატზე ორიენტირებული, ინტეგრირებული ურბანული განვითარების საპროექტო წინადადებები.

2023 წლის 29 ნოემბერს პოლონურ-ქართული პროექტის ფინალური კონფერენცია თბილისში, ქორთიარდ მერიოტში გაიმართა, სადაც გამოვლინდა პროექტის გამარჯვებული რეგიონი/მუნიციპალიტეტი. პროექტის გამარჯვებული გახდა და „ინვესტორებისთვის მეგობრული“ რეგიონის სტატუსი მოიპოვა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონმა. სერტიფიცირების პროცესს კოორდინაციას უწევდა საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის განყოფილება. აღნიშული პროექტი გრძელდება. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე პროექტის ფარგლებში იგეგმება სპეციალური ჩანართის გამოყოფა, სადაც განთავსდება ინფორმაცია საინვესტიციო შეთავაზებების

თაობაზე. შემუშავდება განაცხადი 2024 წლის სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად და „ინვესტორებისათვის მეგობრული“ მუნიციპალიტეტის სტატუსის მისაღებად.

2024 წლის ნოემბერში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განაცხადი გაიგზავნა საერთაშორისო კონსორციუმთან ერთად ევროკავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. პროექტი „Acting Together for Greener Cities“ –„ერთად მწვანე ქალაქებისთვის“ (აპლიკაციის ნომერი: Ref: BSB00460) დაფინანსდა შავი ზღვის აუზის პროგრამის ფარგლებში. კონსორციუმის მონაწილე მუნიციპალიტეტებია: სტამბოლი (თურქეთი), კალამარია (საბერძნეთი), კონსტანცა (რუმინეთი) და ზუგდიდი (საქართველო). პროექტის ბიუჯეტია 303.302.62 ევრო. ევროკავშირის მიერ დაფინანსებულია 90% , სულ 272, 972.35 ევრო, ხოლო კონტრიბუცია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან არის 10%- 30, 330.27 ევრო.

2024 წლის 24 იანვარს, გაიმართა პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (დონორი: შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო) პრეზენტაცია და პანელური დისკუსია. აღნიშნულ პროექტში ზუგდიდი არჩეულია 10 საპილოტე მუნიციპალიტეტთან ერთად და 4 წლის განმავლობაში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორების ჩართულობით იმუშავებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე. პროექტის პარტნიორია საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

2024 წლის 8 თებერვალს, აშშ-ს განვითარების სააგენტოს USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამას და სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2024 წლის 5 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით ზუგდიდის მერიასა და USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამას შორის თანამშრომლობის ფარგლებში, ზვიად გამსახურდიას სხდომათა დარბაზში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა.პროგრამის ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს შეიმუშავებს.მუნიციპალური განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება ხდება საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულების შესაბამისად. ის ემსახურება ადგილობრივი განვითარების დაგეგმვისა და კოორდინაციის გამართული სისტემისა და კარგი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდება კერძო, საჯარო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით.USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამა არის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხუთწლიანი პროგრამა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს ადმინისტრაციულ გამყოფ ხაზთან მდებარე სამიზნე თემებს, რომლებიც ისწრაფვიან ინკლუზიური და მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ და აქვთ უნარი გაუმკლავდნენ არსებულ და შესაძლო რისკებს.

2024 წლის 16 მარტს, შემუშავდა და გაიგზავნა განაცხადი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ ფიზიკური აღნუსხვის საგრანტო კონკურსში.

2024 წლის 22 მარტს განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ქალაქ ქუთაისში. ვიზიტის მიზანი იყო ქალაქ ქუთაისის გამოცდილების გაზიარება მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით. აღნიშნული გამოცდილების გაზიარებით ზუგდიდი გეგმავს სააპლიკაციო განაცხადის შემუშავებას და შემდგომში შესაბამისი მიზნის მიღწევას.

2024 წლის 28 მარტს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო კონკურსში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განაცხადი „2024 – 40242“ შერჩეულია დასაფინანსებლად.

2024 წლის 10 - 11 აპრილს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის შესამუშავებასთან დაკავშირებით, USAID-ის ძლიერი სოფლის პროგრამის ფარგლებში, სამუშაო ჯგუფთან ერთად ჩატარდა ტრეინინგი დოკუმენტის შექმნის მეთოდოლოგიის ასათვისებლად, რომელსაც უძღვებოდა მოწვეული ექსპერტი შოთა მურღულია.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“ -ს პროექტი. 2024 წლის 1 მაისიდან დაიწყო ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესი. დასაწყისშივე განისაზღვრა პროექტის გუნდი. გამოიკვეთა ის სამიზნე ობიექტები, რომლებიც შეეესაბამებოდა კრიტერიუმებს. ასევე, გათვალისწინებული იქნა, იმ რეალური პოტენციური ობიექტების გამოვლენა და აღწერა, რომლებიც სამომავლოდ შესაძლებელია მულტიფუნქციურ შემოქმედებით სივრცეებად გარდაიქმნას. საველე სამუშაოებით მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად შეიქმნა მონაცემთა ბაზა. განხორციელდა შენობა-ნაგებობების პასპორტიზაცია.

- **ტრანსპორტის განყოფილება**

საგზაო ნიშნების მოწყობისა და მოძრაობის უსაფრთხოების პროგრამის დასაფინანსებლად 2024 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 165.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელებას, კერძო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგებისა და ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის მიზნით, ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ტრანსპორტის განყოფილებამ სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრისა და შსს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად , ზუგდიდის ადმინისტრაციულ საზღვრებში განსაზღვრა ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების განთავსების ლოკაციები.

სულ განისაზღვრა 169 ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა, მათ შორის: 83 ერთეული „ა“-ტიპის ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის ამომცნობი, 45 ერთეული „ბ“-ტიპის ზოგადი ხედვის და 41 ერთეული „გ“- ტიპის მართვადი ვიდეო-კამერები. აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა მრავალწლიანი ხელშეკრულება **(NAT220019103),** ასევე გამოცხადებულია ტენდერი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესყიდვაზე **(NAT240018323).**

მოსახლეობის განცხადებების საფუძველზე შევისყიდეთ 800 ერთეული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი (ე.წ „ბორცვი“) და 100 ერთეული ბოძკინტი, ხელშეკრულება გაფორმდა **14240** (თოთხმეტი ათას ორასორმოცი) ლარზე. **(NAT240018849)** 2024 წლის 1

იანვრიდან დღემდე შემოსულია 1230 განცხადება, განხილული და ადგილზე შესწავლილია ყოველი კონკრეტული წერილი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში პერიოდულად ვახორციელებთ საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების დამატებასა და განახლებას, გამოცხადებული ტენდერების საფუძველზე მიღებული ეკონომიიდან წლის ბოლომდე დამატებით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი, საავტომობილო გზების ჰორიზონტალური მონიშვნითი სამუშაოები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებით შემცირებისათვის სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის შეძენა, სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას და მგზავრთა უსაფრთხო გადაადგილებას.

- **ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილება**

2023 წლის ბოლოს დაიწყო თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, რომლის განხორციელებაში აქტიურად ჩართულია სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის განყოფილება, რომელიც ასრულებს შუამავალ როლს ადგილობრივ მოსახლეობასა და პროგრამის განმხორციელებელ უწყებებს შორის. განყოფილების თანამშრომლები ყოველდღიურ რეჟიმში უწევენ მონიტორინგს პროგრამის მიმდინარეობას. პროგრამაში მონაწილე საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს საკუთრებაში, ან ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა გააჩნდეს თხილის ბაღი, ჯამურად არანაკლებ 0,2 ჰა და არაუმეტეს 3,0 ჰა. სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 500 ლარით - 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით. პროგრამის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უკავია მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელთანაც მუდმივ კომუნიკაციაში არიან განყოფილების თანამშრომლები.

დაფნის ბაღების მოწყობის ხელშეწყობის პროგრამაზე განხორციელდა დაფნის ნერგის სახელმწიფო შესყიდვა, გამოვლენილია გამარჯვებული რკ „შამათია“, შესყიდვის ღირებულება 29 205 ლარი (ეკონომია 95 ლარი (29 300-29 205)), რომლის მიწოდება განახორციელა ოქტომბრის თვეში. შესაბამისი კომისიის მუშაობის შედეგად გამოვლინდა 64 ბენეფიციარი, რომლებსაც გადაეცათ 500-500 ცალი დაფნას ნერგი.

აგრალური რუკის (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნიადაგების, მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის მომზადება) შექმნაზე მომსახურების ტენდერი მოიგო შპს „ჯეოლენდმა“ , შესყიდვის ღირებულება 40 952 ლარი (ეკონომია 48 ლარი 41 000-40 952), რომლის მომსახურება განხორციელდა ოქტომბრის თვეში და შეიქმნა პლატფორმა ზუგდიდის აგრარული რუკა, რომელიც ჩაშენებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე https://www.google.com/maps/d/viewer?mid=1p7YZt68Plo8e8OFRbgV_MztgnGDVIP8&ll=42.45358032027683%2C42.05237543160991&z=11;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ნიადაგი შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევების ჩატარებაზე მომსახურების ტენდერში გაიმარჯვა „ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის“, შესყიდვის ღირებულება 22620 ლარი (ეკონომია 80 ლარი (22700-22620)), რომლის

მომსახურება განხორციელდა ოქტომბრის თვეში, აღნიშნული ლაბორატორიული კვლევების შედეგები განთავსებულია ზუგდიდის აგრარული რუკის პლატფორმაზე;

განხორციელდა პროექტი „ ყველის შესანახი და დასავარგებელი სარდაფის მოწყობა“ და შესანახი სივრცის მოწყობისთვის „ვიტრინა მაცივრის შეძენა“. შესაბამისი კომისიის მიერ გამოვლენილია პროგრამა შესანახი სივრცის მოწყობისთვის „ვიტრინა მაცივრის შეძენა“ გამარჯვებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრების მაია ბულია (პ/ნ 19001012155), რომელსაც გადაეცა დისპლეი (ვიტრინა) მაცივარი HYUNDAI RHSW300B (მწარმოებელი ქვეყანა - კორეა; ერთკარიანი; ნახევრად მშრალი; 285-300 ლიტრიანი; კომპრესორი -1; ფრეონი - R600A; შიდა განათება +; ტემპერატურა 0-დან 18 -მდე; თაროების რაოდენობა - 3+; ზომა :600*580*1822 მმ; ფერი : შავი; გარანტია: 3 წელი), რომელიც შესყიდული იქნა შპს დიოსკურია-დან, შესყიდვის ღირებულება 1380 ლარი (ეკონომია 620 ლარი (2000-1380)), რომლის შესყიდვა განხორციელდა დეკემბრის თვეში.

2024 წლის პროგრამების უზრუნველსაყოფად ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია (ორგანიზაციული კოდი 0304) 130 000 (ასოცდაათი ათასი) ლარი, კერძოდ:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის (MMGS) Amazon Web Serviceze (AWS)-ზე განთავსებაზე გადახდილია 6 თვეში 358,58 ლარი, კერძოდ:

2. პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურების) ხელოვნური განაყოფიერება“ -ზე 2024 წელს გათვალისწინებულია **35500** ლარი. აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად ჩატარებულია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, გამოვლენილია გამარჯვებული ინდივიდუალური მეწარმე „მარლენ ჯინჯოლავა“, გაფორმებულია ხელშეკრულება N71 (25.03.2024 წელი) **34 080** ლარი, ეკონომია **1420** ლარი.

პროგრამით გათვალისწინებულია თანადაფინანსების პრინციპი, რაც ითვალისწინებს ბენეფიციარის მიერ ერთჯერზე 12 (თორმეტი) ლარის გადახდას ბიუჯეტში. წლის განმავლობაში შემოსავალმა შეადგენა **3408** (284*12) ლარი;

3. პროგრამა „ტრენინგ/სემინარების ორგანიზება/მოწყობა, საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება“ ფარგლებში მუნიციპალური პროგრამა „„მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურების) ხელოვნური განაყოფიერება“-ს საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით შესყიდულ იქნა შესაბამისი, მერიასთან შეთანხმებული, საინფორმაციო ბუკლეტები;

ხელშეკრულება N70 (25.03.2024 წელი) გუფორმდა ინდივიდუალურ მეწარმე „ბესიკ გერლიანს“, ღირებულებით **245** ლარი, რაოდენობა - 350 ცალი 02.04.2024 წლის მდგომარეობით ბუკლეტები დამზადებული და ჩაბარებულია.

4. პროგრამა „ყველის შესანახი და დასავარგებელი სარდაფის მოწყობა“-ზე გათვალისწინებულია **18.0** ათ. ლარი, აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად ჩატარებულია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, გამოვლენილია გამარჯვებული

შპს „ვითი XXI“, გაფორმებულია ხელშეკრულება N1451 (13.06.2024 წელი) **17 828** ლარი, ეკონომია **172** ლარი, პროექტი დასრულდა აგვისტოს თვეში;

5. პროგრამა „ნიადაგის შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევა“-ზე გათვალისწინებულია **12.1** ათ. ლარი, აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად ჩატარებულია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, გამოვლენილია გამარჯვებული „ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის“ , გაფორმებულია ხელშეკრულება N 192 (19.07.2024 წელი) **12 008** ლარი, ეკონომია 92 ლარი, პროექტი ამჟამად მიმდინარეობს

6. პროგრამა „დაფნის ბაღის მოწყობის ხელშეწყობა (კეთილშობილი დაფნის ნერგის კომპონენტი“-ზე გათვალისწინებულია **18,8** ათ. ლარი, აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად ჩატარებულია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, გამოვლენილია გამარჯვებული კოოპერატივი „შამათია“, გაფორმებულია ხელშეკრულება N 170 (11.07.2024 წელი) **18 800** ლარი, პროექტი დასრულდება ნოემბრის თვეში;

7. პროგრამა „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურების) ხელოვნური განაყოფიერება“ - ზე 2024 წელს გათვალისწინებულია მეორე ეტაპისთვის **19 000** ლარი. აღნიშნული პროგრამის უზრუნველსაყოფად ჩატარებულია სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები, გამოვლენილია გამარჯვებული ინდივიდუალური მეწარმე „მარლენ ჯინჯოლავა“, გაფორმებულია ხელშეკრულება N 241 (05.09.2024 წელი) **18 960** ლარი, ეკონომია **40** ლარი.

პროგრამით გათვალისწინებულია თანადაფინანსების პრინციპი, რაც ითვალისწინებს ბენეფიციარის მიერ ერთჯერზე 12 (თორმეტი) ლარის გადახდას ბიუჯეტში, პროგრამა ამჟამად მიმდინარეობს;

• შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი''

ზუგდიდის ავტობუსის ქსელი დაფარვის არეალის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე დიდია იმ 6 ქალაქს შორის სადაც, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდის (EBRD), მუნიციპალური განვითარების ფონდის, ცენტრალური აზიის ქვეყნების ჯგუფის და კომპანია ,,სისტრა“-ს მიერ დღესაც მიმდინარეობს კველევები მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურეობის გასაუმჯობესებლად. მუნიციპალური ტრანსპორტის პარკი მოიცავს სულ 45 ავტობუსს, რომელიც შედგება 25 ოტოკარის ფირმის, 17 ისუზუს ფირმის და თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისის (საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილურობა) 3 ფორდის ფირმის მიკროავტობუსისგან, ავტობუსები 32 მარშრუტზე ოპერირებენ და დღის განმავლობაში 9000 მგზავრი გადაგვყავს. ჩვენი ავტობუსები დღის განმავლობაში 258 ბრუნს, ანუ 9000 კმ-ს, ხოლო თვეში 7740 ბრუნს, ანუ 255 000 კმ-ს აკეთებენ.

შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი"-ს მიღებულმა შემოსავალმა 2023 წლის 01 ოქტომბრიდან 2024 წელს 01 ოქტომბრამდე შეადგინა 5 614648 ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავალი მგზავრთა გადაყვანიდან შეადგენს 1 886 965 ლარს, სუბსიდიის სახით გამოგვეყო 3 727 683 ლარი, სულ ფაქტიურმა ხარჯმა კი შეადგინა 2023 წლის 01 ოქტომბრიდან 2024 წლის 01 ოქტომბრამდე 5 403 289 ლარი; აქედან დიზელის საწვავზე გაიხარჯა 1 869 986 ლარი; თანამშრომელთა ხელფასებზე 2 371 257 ლარი, ოტოკარის ტექნიკურ მომსახურეობაზე 726398

ლარი, ისუზუს მარკის ავტობუსების ტექნიკურ მომსახურეობაზე გაიხარჯა 288 097 ლარი. ხოლო დარჩენილი 147551 ლარი გაიხარჯა საბანკო, საოფისე, სატელეფონო, ინტერნეტის, სამეურნეო, ჰიგიენური საშუალებების, და სხვადასხვა მომსახურეობაზე.

- **ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი''**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ ,,სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს მიერ 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე გახარჯულია 1399,7 ათ. ლარი. მ/შორის სპორტული ღონისძიებებისთვის 206,0 ათ. ლარი.

ააიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფ სასპორტო სკოლებში, საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა სასწავლო საწვრთნელი პროცესი.

2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 25 საერთაშორისო და 80-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სპორტის 10-ზე მეტი სახეობის ტურნირში, მათ შორის: ძალოსნობა, კრივი, კიკბოქსინგი, ტაეკვანდო, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სპორტული კარატე, კუდო.

ზუგდიდში ჩატარდა **22-მდე** სპორტული ღონისძიება, რომელიც დაფინანსებული იყო ადგილობრივი ბიუჯეტით. მათ შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის მუნიციპალური და რეგიონალური თამაშები, რომელიც მოიცავს სპორტის 7 სახეობას, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის **48 საჯარო და კერძო სკოლის 2000-მდე** სკოლის მოსწავლემ.

ზუგდიდში ჩატარდა „ზუგდიდის საშობაო ტურნირი კლასიკურ ჭადრაკში", „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ძალოსნობაში", სალიცენზიო ტურნირები ძიუდოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ჩემპიონატი 8, 10, 12 და 16 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის ჭადრაკში, „ზუგდიდის ბლიცი-გაზაფხულის სეზონი 2024" (ჭადრაკი), „ჟორა მზარელუას მემორიალი" (ჭადრაკი), საჭადრაკო ტურნირი „ფავორიტი", „კოლხეთის თასი - 2024" ძიუდოში, მასობრივი სპორტული ღონისძიებები: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ფრენბურთში", „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა ქვიშის ფეხბურთში" (ჩატარდა ანაკლია-განმუხურის რესორტში), „ველორბოლა - 2024", ტრადიციული ტურნირი ცხენოსნობაში „მარულა - 2024" და სხვ.;

ზუგდიდელი კალათბურთელი გოგონები (U14) საქართველოს ვიცე-ჩემპიონები გახდნენ; ზუგდიდის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი (შერეული კატეგორია) (U12) Junior NBA-ის გამარჯვებულები გახდნე; ზუგდიდელი ძალოსნები (U17) საქართველოს ჩემპიონები გახდნენ გუნდურ ჩათვლაში; ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიში" საქართველოს თასის მფლობელი გახდა;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა **130**-ზე მეტი სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა **34-მა** ზუგდიდელმა სპორტსმენმა.

- **შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“**

საზოგადოების მიერ განხორციელებულია შემდეგი სახის სამუშაოები:

- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის დამაკავშირებელი ხიდთან რკინა-ბეტონის კიბის, ხიდის მისასვლელთან პანდუსების მოაჯირების და მიმდებარე ტერიტორიაზე გაზონების შემოკავების სამუშაოები 18738,24 ლარის ფარგლებში.
- ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე მოეწყო დამსვენებლების გართობის მიზნით საქანელები, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 44108,32 ლარი.
- ასევე ანაკლიის ტერიტორიაზე მოეწყო ღია სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედანი 25709,89 ლარის ფარგლებში.
- განხორციელდა ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე სამი ერთეული ღია სავაჭრო ობიექტის მოწყობის სამუშაოები 32932,95 ლარის ფარგლებში.
- ანაკლიისა და განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა მანათობელი მოცულობითი ასოები,, მე მიყვარს ანაკლია ‘’ და ,, მე მიყვარს განმუხური’’ 19300 ლარის ფარგლებში.
- განხორციელდა ანაკლიის ბულვარის სანაპირო ზოლზე საჩრდილობლების (150კვ.მ.) მოწყობის სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 20518,45 ლარი.
- ასევე ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ერთი კონტეინერის სავაჭრო ობიექტად გადაკეთების სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც გაიხარჯა 36413,46 ლარი.
- განხორციელდა ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (შუალედური დასკვნის) საფუძველზე განხორციელდა ხე-მცენარეების შეწამლვა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით, აღნიშნული სამუშაოებისთვის ჯამში გაიხარჯა 9773,5 ლარი.
- ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა ვიდეოსათვალთვალო კამერები და ვიდეო აპარატურა რომლის ღირებულებამ შეადგინა 52325,29 ლარი.
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება- მოვლის სამუშაოები; საქონლის/მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 11408 ლარი;

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქვიშის სტადიონებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად შეძენილ იქნა კვარციტული ქვიშა, სტადიონის მინდვრის საკრეჭი ტრაქტორის სათადარიგო ნაწილები და სხვადასხვა სამეურნეო საქონელი, საქონლის ღირებულებამ შეადგინა 16385,9 ლარი.
  - ბულვარში არსებული 4 ჯიხურის შემინვისთვის შეძენილიქნა 1746,36 ლარის ორმაგი მინაპაკეტი
  - ასევე ანაკლია-განმუხურის ბულვარის სანაპირო ზოლზე არსებული 4 კაპიტალური კაფეს, განმუხურის კაფე-რესტორნის დაზიანებულ მინის კარის და განმუხურის ამფითეატრის დაზიანებულ მინების შესაცვლელად შეძენილიქნა და გამოიცვალა 4461,97 ლარის ღირებულების ოარმაგი მინაპაკეტი ნაწრთობი და სარკისებრი მინები.
  - ასევე 4 კაპიტალური კაფეს სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვისთვის შეძენილი იქნა 9322,04 ლარი სამშენებლო მასალები და მომსახურება, 4 ერთეული ჯიხურისა და 1 კონტეინერის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის -9910,6 ლარის
  - განხორციელდა ჩვენს ბალანსზე რიცხული კონტეინერის დაშლა-გადატიხვრის, გარე ფასადისა და სახურავის რეაბილიტაციისა და მოწყობის სამუშაოები 6317 ლარის ფარგლებში.
  - დაისხა ბეტონი გოლდენ სკვერის ტერიტორიაზე 100 კვ.მ-ზე 2500 ლარის ფარგლებში.
  - განხორციელდა ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე ლოკაციების აზოვითი/ აგეგმვით ნახაზის მომზადების მომსახურება 900 ლარის ფარგლებში.
  - შეძენილ იქნა ანაკლიის სანაპირო ზოლზე შეზლონგების საჩრდილობლების მოწყობის, ასევე შშმ პირებისთვის გასახდელებისა და ზღვასთან მისასვლელი ბილიკების მოწყობის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები 4450 ლარის ფარგლებში.
  - ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ელექტრო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გაიხარჯა 40043,35 ლარის ელ. საქონელი.
  - განხორციელდა ანაკლია-განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე გასაქირავებელი ფართებისა და ობიექტების საიჯარი ღირებულების დადგენის აუდიტორული მომსახურება 2320 ლარის ფარგლებში.

- **ა(ა)აიპ ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“**

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე” წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, საყმაწვილო ჟურნალისტიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლებასა და პოპულარიზაციას.

ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის“ 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე ბიუჯეტის ასიგნება შეადგენს 962 980 (ცხრაას სამოცდაორი ათას ცხრაას ოთხმოცი) ლარს. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ამ პერიოდისათვის დასაქმებულია 73 თანამშრომელი. (მ/შორის შტატით-71 ერთეული , ხოლო შტატგარეშე -2 ერთეული). მიღებული ასიგნება გაიხარჯა გეგმაზომიერად ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით: **შრომის ანაზღაურებაზე -792 622 ლარი; მომსახურებაზე -167 758 ლარი; არაფინასური აქტივების ზრდაზე - 2600 ლარი.** ასევე საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები ბიუჯეტის ასიგნებებში. სასახლის“ 2023 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 1 ოქტომბრამდე საკუთარი სახსრების ფაქტიური შემოსავალი შეადგენს (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა შემოსავლები) -44 823 ლარს.

სანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ინტელექტკლუბი: ინტელექტუალური თამაში ,,რა?სად?როდის?“ 5-ჯერ; ვიქტორინა-კონკურსის ‘’ჩვენ ვკითხულობთ’’ I, II, III ტური და ფინალი; ინტელექტუალური თამაში ,,მოაზროვნე“; ინტელეატუაური თამაში ,,ყველაზე ჭკვიანი“ 2-ჯერ; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ინტელექტკლუბის ორგანიზებით ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსის ,,იცოდე შენი ქვეყნის ისტორია-ოქროს ხანა საქართველოში“ I,II ტური და ფინალი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ინტელექტკლუბის ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია ,,ნორჩი მკვლევარი 2024“.

ჟურნალისტთა კლუბმა ‘’სარკმელი’’: ნორჩ-ჟურნალისტთა კლუბის ,,სარკმელი’’ორგანიზებით სასახლის დარბაზში გაიმართა ფილმის ,,Barbie" ჩვენება; ბოტანიკური ბაღის, საინფორმაციო კამპანია ,,მედიასახლის“ და ჟურნალისტთა კლუბის ერთობლივი პროექტი ფოტომარათონი ,,კადრის ფესტივალი 2024“ ჩატარდა.

საყმაწვილო თეატრი: ნ. წულეისკირის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, მონოსპექტაკლი ‘’სისატურა’’ ჯვარზენის პროფესიულ კოლეჯში უჩვენა; საყმაწვილო თეატრმა მონაწილეობა მიიღო სენაკის სასკოლო თეატრალურ ოლიმპიადაში.

დრამატული სტუდია: დრამატულმა სტუდიამ "შთამომავლები" სპექტაკლის „სიკეთის სამეფოში“ პრემიერა გამართა; დრამატულმა სტუდიამ "შთამომავლები" და პოეზიის თეატრმა ღონისძიება ,,ლექსო ნუ დაიკარგები“ მხატვრულიკითხვის საღამო გამართა;

დრამატულმა სტუდიამ "შთამომავლები" სპექტაკლის „Hellados“ პრემიერა გამართა; დრამატულმა სტუდიამ "შთამომავლები" სპექტაკლის „პეპის ოინები“ პრემიერა გამართა.

სამეჯლისო-სპორტული ცეკვების სტუდია „ეზი“: სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ გამართულ სამეჯლისო-სპორტული ცეკვების კონკურსზე „IMERETI 2024“, საპრიზო ადგილები მოიპოვა; სამეჯლისო-სპორტული და თანამედროვე ცეკვების I საერთაშორისო ფესტივალი ანაკლიაში, სასტუმრო „PALM BEACH” - ში გაიმართა; სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა თბილისის საერთაშორისო კონკურსზე სამეჯლისო და სპორტულ ცეკვებში რომან არჩაიას თასზე და საპრიზო ადგილების მოიპოვა; სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა ზუგდიდიში სამეგრელო-ზემო სვანეთის სამეჯლისო-სპორული ცეკვების ასოციაციის მიერ ორგანიზებული კონკურსზე „საქართველოს თასი 2024“ და საპრიზო ადგილები მოიპოვა; სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა ფოთში სამეჯლისო-სპორტული ცეკვების კონკურსზე „კოლხეთის თასი 2024“ და საპრიზო ადგილები მოიპოვა; სტუდია „ეზი“ მონაწილეობდა ბათუმში სამეჯლისო-სპორტული ცეკვების საერთაშორისო ფესტივალში „ბათუმი 2024“ და საპრიზო ადგილები მოიპოვა.

თანამედროვე ცეკვების სტუდია „Dance Dynasty“: სტუდია მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში „Wonderland”, რომელიც ჩატარდა ბათუმში. დაიკავა პირველი ადგილი და დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით.

მუსიკალურ-თეატრალური სტუდია „რიბირაბო“ და ანსამბლი „გინცი“ : მიუზიკლი „ყინულის დედოფალი-სიკეთის სამყაროში“ პრემიერა გაიმართა; მუსიკალურ-თეატრალურმა სტუდიამ ‘‘რიბირაბო’’ კონცერტი თემაზე: ‘‘დედაშვილობა’’ ჩაატარა.

ვოკალური ანსამბლი ‘’რეტრო’’: ანსამბლი მონაწილეობდა ხელოვნების საერთაშორისო კონკურსში „Prague stars 2024”, სადაც საპრიზო ადგილები და ლაურეატის წოდება დაიმსახურეს; ბენდი „ზუგდიდი“ მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში „Wonderland”, რომელიც ჩატარდა ურეკსა და ბათუმში. ორივე ლოკაციაზე ბენდმა უმაღლესი ჯილდო გრანპრი მოიპოვა; ანსამბლი „მტრედები“ მონაწილეობდა ქ.ფოთში, კოლხურ-ლაზური ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ფესტივალ-კონკურსში. ხელმძღვანელი დაჯილდოვდა ლაურეატის წოდებით; ანსამბლი „ქართული“ მონაწილეობდა ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალში. ანსამბლი გრანპრით დაჯილდოვდა, პედაგოგს, ელგუჯა მამალაძეს საუკეთესო ქორეოგრაფის წოდება მიენიჭა; ანსამბლი „ყილოშტყებამი“ მონაწილეობდა ქ.ბათუმში, საერთაშორისო ახალგაზრდული საქველმოქმედო ცენტრის „არტ-ფესტის“ მიერ ორგანიზებულ ფესტივალში.ანსამბლის ხელმძღვანელს გადაეცა მადლობის სიგელი და შოთა რუსთაველის სახელობის ჯილდო.

ხალხური სიმღერებისა და საკრავების შემსწავლელი წრე: ჩატარდა საანგარიშო კონცერტი.

სასახლის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა.

სასახლის შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით ჩატარდა წლის საანგარიშო კონცერტი.

ღონისძიებები მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ჩართულობით: ორგანიზაცია „ხელები მშვიდობისთვის” (Hands for Peace) ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით (EU4Dialogue) განხორციელებულ პროექტის „ქალები და ბავშვები - კრეატივი და მშვიდობა", დახურვაზე სასახლის შემოქმედებითმა ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა.

❖ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური

შიდა აუდიტი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ 2023 წლის 01 ოქტომბრიდან 2024 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში:

- ✓ ჩაატარდა 4 აუდიტორული შემოწმება, მათ შორის 2 - ეფექტიანობის, 1 - სისტემური და 1- შესაბამისობის აუდიტი;
- ✓ ჩატარებული აუდიტებიდან სულ გაიცა 35 რეკომენდაცია;
- ✓ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი განხორციელდა 5 ობიექტში;
- ✓ ამჟამად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შპს ,,ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის შესაბამისობის აუდიტი.

ინსპექტირება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის ინსპექტირების განყოფილების მიერ 2023 წლის 01 ოქტომბრიდან 2024 წლის 01 ოქტომბრამდე პერიოდში:

- ✓ ჩატარდა 84 ინსპექტირება;
- ✓ შედგენილ იქნა 10 ინსპექტირების დასკვნა;
- ✓ გაცემულ იქნა რეკომენდაცია კერძო სამართლის იურიდიული პირების 38 მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების თაობაზე;
- ✓ მუნიციპალიტეტის მერიის მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის სავარაუდო ფაქტებთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა 1 დისციპლინური წარმოება, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა დისციპლინური წარმოების დასრულების შესახებ 1 დასკვნა;
- ✓ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადებში ხარვეზების/ნაკლოვანებების გამოვლენის და შემდგომი რეაგირების მიზნით, დათვალიერებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული 269 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთაგან 50 ობიექტთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის მიმართ გაცემულ იქნა 50 მითითება უზრუნველეყოთ აღნიშნული ხარვეზების/ნაკლოვანებების აღმოფხვრა კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ შემსრულებლების მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შესახებ მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფაქტობრივ

მდგომარეობასთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით, განხორციელდა 53 ინფრასტრუქტურული პროექტი შემოწმება, რომელთაგან 3 ობიექტზე გამოვლინდა შეუსაბამობა ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებლების მიერ მერიაში წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის, შესაბამისად აღნიშნულთან დაკავშირებით გაცემულ იქნა 3 მითითება მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიმართ.

- ✓ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ გაცემულ იქნა სხვადასხვა შინაარსის 5 მითითება.

საანგარიშო პერიოდში საფინანსო-საბუჯეტო საქმიანობის და სახელმწიფო შესყიდვების კუთხით სახეზე არსებული მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების, მუნიციპალიტეტის სხვა პრიორიტეტების ყველა საჭიროებიდან გამომდინარე საბიუჯეტო სახსრებით სრულად უზრუნველყოფა და სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისი ფინანსური პარამეტრებით განხორციელება მოითხოვს უფრო მეტ ფულად თანხებს (ასიგნებებს), ვიდრე ამის შესაძლებლობა დღეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გააჩნია. აღნიშნული გარემოების მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ქვეყნის მაკროეკონომიკური დინამიკური ზრდის კვალობაზე, მუნიციპალიტეტს აქვს ახლო პერიოდში ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ზრდის და მყარი ფინანსური ბაზის შექმნის რეალური პერსპექტივა, რითაც შესაძლებელი გახდება თვითმმართველი ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური, ჯანდაცვის, კულტურული პროგრამების და მუნიციპალიტეტის სხვა პრიორიტეტების სრულყოფილად დაფინანსება.